## ელენე ხარაზიშვილი

*გამარჯვებული ნომინაციაში „რჩეული მოთხრობა“*

# ბროწეულის ხეები

უცნაური სამეზობლო მყავს. ყველა მცხოვრებელი განსხვავებულია, ყველას თავისი ისტორია გააჩნია, თავისი სიხარულითა და ტრაგედიით ცხოვრობს, რაც, ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს, ბოლოსდაბოლოს, კაცობრიობის გაჩენის დღიდან ასე იყო დადგენილი, მაგრამ ეს ერთი სადარბაზო ისეთი ჭრელია, ხან მგონია, რომ ყველა ის ამბავი ეტევა, რაც კი შესაძლებელია საერთოდ გადახდეს ადამიანს. არც ეს გახლავთ უცნაური – სრულიად სხვადასხვანაირი ადამიანების გარემოცვაში არც ეს უნდა გვიკვირდეს, ცხადია.

აი, მაგალითად, ჩემს კარის მეზობელს გოზალა ჰქვია. თბილისელი აზერბაიჯანელია, ან, როგორც ჩვენში უწოდებენ – აზერი. მოხუცია, შავი თვალები, ხორბლისფერი დანაოჭებული კანი და წვრილი, ან, იქნებ უფრო, დაწვრილებული ტუჩები აქვს. კეფას სქლად მოკოსილი ვერცხლისფერი თმა უმშვენებს, რომელიც, აშკარაა, ადრე გიშერივით შავი უნდა ყოფილიყო, იმ გიშერივით, რომელიც, რაც თავი მახსოვს, გულზე აბნევია ავი თვალისაგან დასაცავად. ისე კი, უნდა გამოგიტყდეთ, გიშერმა თავისი საქმე მაინც ვერ გააკეთა გოზალას ცხოვრებაში. – ვერც ერთი ავი თვალისაგან ვერ დაიცვა, რომლითაც მისთვის ვინმეს ოდესმე

შეუხედავს, არადა ბევრი იყო ასეთი. გოზალა მართლა გოზალა[1] იყო! – ჩემს ბავშვობაში ჰყვებოდნენ, ისეთი ლამაზი გვახსოვს, ტანკენარი და მოხდენილი, თვალებბრიალა ქალი იყო, გრძელი, ხშირი წამწამებით, მზერას რომ ჩახრიდა, თვალები აღარ ეტყობოდაო. მუქი და სქელი წარბები ჰქონდა, ატეხილი და მაღლა აწეული. რასაკვირველი კი ის გახლავთ, რომ ასეთ ქალს კაცები უხვად გაედევნებოდნენ, თვალი ეჭირებოდათ, მარტო მოეხელთებინათ, რომ ზოგს სიყვარული აეხსნა, ზოგს კი – უხამსი ფიქრისათვის შეესხა ხორცი. ჩემს უბანს წმინდა გულისანიც ბევრი ახსოვს და ცოდვით დამძიმებულნიც, გოზალას კი ორივე ჯურისანი ჰყავდა შემოჩენილი. ამიტომაც იყო, ალბათ, ყველაზე მეტად იმისი გათხოვება ეწყინათ მეზობლებს. რაღა დაგიმალოთ, მეც მიყვარდა ბავშვობაში გოზალა. სისულელე იყო, რა თქმა უნდა, აბა, ქალი ახალგაზრდობის სურათიდან როგორ უნდა შეგიყვარდეს. საიდან არ ვუტრიალე, რამდენი არ ვიფიქრე და ბოლოსა ვთქვი, აზერბაიჯანული უნდა ვისწავლო-მეთქი. ჩვენს უბანში, კორპუსებთანაც და ისედაც, ყოველთვის ბევრი ენა ისმოდა, მათ შორის აზერბაიჯანულიც, კორპუსის წინ ჯიხური იდგა და იმ ჯიხურშიც ერთი მაჰმუდა იყო გამყიდველი. რამდენჯერ არ მომესმინა აზერბაიჯანულის ჟღერადობა და სწავლა კი არასდროს მომნდომებია. გულწრფელი ვიქნები, არც მაშინ მახრჩობდა სწავლის სურვილი, უბრალოდ მეგონა, თუ ენას ვისწავლიდი, საკავშირო ხიდს გავიდებდი იმ ქალთან, ბებიაჩემის დამტვერილი ალბომის მეოთხე გვერდზე საგულდაგულოდ ჩაკრულ სურათში რომ მყავდა ნანახი.

გოზალას ქორწილი კარგად ახსოვთ აქაურებს.

იმისი გათხოვების ამბავს რომ მომიყვა ბებიაჩემი, უკვე კარგა ხნის ჩაქნეული მქონდა ხელი ჩემს ყოვლად ცალმხრივსა და პლატონურ სიყვარულზე და დიდად გული არ დამწყვეტია, თავი არ მომიკლავს, ის კი უნდა გითხრათ, რაღაცა უსიამო გრძნობა მაინც დამიტოვა იმის მოსმენამ, გოზალა კაი ხნის გათხოვილიაო. არ ვიცი, რას ველოდებოდი –

[1] აზერ. „ლამაზი“

რა, დრო გოზალას ვერ მოერეოდა? მე ისევ ისეთი მეგონა, როგორიც ფოტოზე მენახა.

– გოზალა წითელი, ზიზილ-პიპილო თავსაფრით რომ გამოიყვანეს ეზოში, უმანკოების წითელი ქამარი შეაბეს, დოლ-კლარნეტის ჩახვეული ჟღერითა და დიდი ზეიმით თეთრ, ჩახჩახა, მაგრამ უზადოდ მორთულ, თოჯინიან „ნოლ ექვსში“ ჩასვეს და კაცმა არ იცის, საით, გააქროლეს. მას მერე გოზალა ოცდაათი წელი არ გვინახავს არავის, – დაასრულებდა ბებიაჩემი თხრობას.

  იმ ოცდაათი წლის შემდეგ კი, ისევ დაბრუნდა და ჩემ წინ ცხოვრობს, ოღონდ, რა და როგორ მოხდა, წარმოდგენა არ მაქვს, არასდროს მიკითხავს. ალბათ, იმედი გამიცრუვდა, დაბერებული გოზალა რომ დავინახე, აკი გითხარით, მე ისევ ისეთს ველოდებოდი-მეთქი. მაშინ ჩავთვალე, რომ ეს ქალი სხვა იყო, უბრალოდ რაღაცით მოჰგავდა იმ გოგონას, მე რომ ოდესღაც მაჩვენა ბებიამ მტვერნადებ ალბომში.

თუ ჩემი აივნიდან გახედვას დააპირებთ, აუცილებლად მიიპყრობს თქვენს ყურს ერთი ქალბატონის საამური, ბულბულისებური გალობა, სმენას რომ მიტკბობს ხოლმე ალიონის დადგომისთანავე. ეს ეთერია. ეთერი გიჟია, ოღონდ უსაბუთო გიჟი. რაც თავი მახსოვს, იწყევლება და იმის გარჩევა კი ვერ ვისწავლე, ზუსტად ვის წყევლის. სამაგიეროდ, ის კარგად ვიცი, თუ მაგისი თვალი ვინმეს ეცა, მთლად კარგ ბედში ვერ ჩავარდება. ისე კი, უკვე მეცინება მეც და დანარჩენებსაც, – იმდენჯერ იძახებს პატრულს კვირაში, მორიგე მილიციელები სახეზე გვცნობენ, სადაცაა, დავძმაკაცდებით. რა არ გჯერათ, ბატონებო, აგერ, იმ დღეს ირინასთან იყვნენ, მაგ ეთერის კარის მეზობელთან – ირინამ ყავა დაალევინა, მოასვენა და გაუშვა სტუმრები. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეთერს დაუჩივლია, ეტყობა, რემონტს აკეთებენ და ბრაგაბრუგი გამოდის იმათი სახლიდან, რომ იტყვიან, თავი მეხდებაო. აქვე

გაგიმხელთ, რომ ირინა სარალიძის ოჯახს ათი წელია სახლისთვის ხელი არ შეუვლია.

ბედი არა მქონია, რომ ეთერის მაღლა ვცხოვრობ, აბა ჩემი კარია ატალახებული მილიციელთა ფეხსაცმლით! ირინა სარალიძე და დანარჩენები ჩემთან მონაგონები არიან! – ჩვეულებრივი დღეები რა არის, ახალი წლის ღამესაც მომადგა პატრული მისი მეტად სერიოზული საჩივრის საფუძველზე, რომ კრიმინალური დაჯგუფების წევრი, მკვლელი და ათასი ჯანდაბა ვარ ერთიანად. იმ ღამით სტუმრები არ მყოლია, მხოლოდ მე, დედაჩემი და მამაჩემი ვისხედით მისაღებში, დედაჩემი, მგონი, გოზინაყს აკეთებდა. კარი რომ გავაღე და მილიციელის ხმა გაიგონა, კინაღამ ის ვაი-ვაგლახით დარჩეული საგოზინაყე ნიგოზი დაბლა დაუცვივდა შიშისაგან, რა დაგვიშავებია, თანაც ამ საახალწლოდო. საბოლოოდ, ისე მოთავდა ეს ამბავი, რომ უეცარი სტუმრები მოკრძალებულ სუფრაზე დაგვეწვივნენ, თითო ჭიქა გამოცალეს, ჯიბეში ნარჩენი თითო-ოროლა კანფეტი დაგვიტოვეს მაგიდაზე, მოგვილოცეს, მოგვიბოდიშეს და წავიდნენ.

თბილისი უსომხებოდ რა თბილისია! – მე თვითონ დედა სომეხი მყავს, მაგრამ ჩვენი არამოვების ფონზე დედაჩემი ნამდვილი, ჭეშმარიტი ქართველი მეზობელი მანდილოსანია! არამოვები კარგი ხალხია, მე ძალიან მაყრიან ჯიგარს, ეტყობა ვეთავისები. აი, დედაჩემს, რაც თავი მახსოვს, ამუნათებს არევა, იმ სახლის დიასახლისი. არევა ერთ ვარდავარს, ერთ სურბ-სარქისს არ გამოტოვებს, თვეში თითოჯერ მაინც აცხობს გათას და თავისთან გვეპატიჟება ზედა-ქვედა სართულებს, ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ასეთ პატრიოტ სომეხს ძალიან ენანება დედაჩემის მეტისმეტი „გაქართველება“. არევ და რაფო არამოვები, არ ვიცი, საიდან მოვიდნენ, მაგრამ რაც თავი მახსოვს, სულ აქ ცხოვრობენ. მე თავად ოცი წლისა ვარ, ისინი ორმოცს ხუთიოდე წლით თუ იქნებიან გადაცილებულნი. ამ სადარბაზოში თუ ვინმე ჩხუბობს, არევა და ეთერი არიან, ის ეთერი, წეღან რომ გეუბნებოდით. ერთხელ მაგასაც უჩივლა

ეთერმა. არევამ რაფოს, თავის ქმარსაც არ დააცადა, ისე მიუვარდა იმ შენს ეთერს და სულ ქართულ-სომხურ-რუსულად დალოცა. იმის მერე ეთერი ხმის ამომღები აღარ იყო არამოვებთან.

– ბა ვონც, გენაცვალე, ეგრე უნდა, იმის ნაგიჟარი გლუხის ამბავი კარგა ვიცი, თავის ადგილი უნდა დაანახვო!

არევა ისეთი ქალია, მამალს რომ იტყვიან ხოლმე. მე რომ მკითხო, ზოგი კაცი ვერ იქნება ეგეთი გამტანი, ცხოვრებას მთელი თავისი დღე და მოსწრება ეჯიკავა, ეჭიდავა და ერთ-ორჯერ წააქცია კიდეც! აი, რომ წააქცია და დაამარცხა, სწორედ იმ წელიწადს გაუშვა ერთადერთი ვაჟი სასწავლებლად მოსკოვში. მას მერე კაი ხუთი წელი კი გავიდა და ნარეკი ჯერაც არ დაბრუნებულა.

არევაზე რა უნდა დავამატო, დღესავით ნათელია იმის ხასიათი, აი, რაფო ნაღდი სომეხია! მიხრა-მოხრა, ლაპარაკი, ჩაცმა, ჭკუა, ნიჭი – ყველაფერი სომხური აქვს! ჩემი აზრით, რაფო ცოცხალი მტკიცებულებაა იმისა, რომ სომხები „უგზო-უკვლოდ ნიჭიერი ხალხია“, როგორც მამაჩემი ამბობს ხოლმე. – რაფოს თავისი მაღაზია აქვს ჩვენს უბანში, ძალიან კარგად მუშაობს და შემოსავალი, რა თქმა უნდა, რომ არ აკლია, მაგრამ ყოველდღიურ სამუშაოსა და ყოფით საქმეებს რომ თავი დავანებოთ, რაც კი რამ ხმას გამოსცემს, ყველაფერზე უკრავს – ქამანჩაზეც კი, რომელიც, თავისი მთელი სიცოცხლეა, ირწმუნება, დიდი საიათ-ნოვას ნაქონია და თაობიდან თაობას გადაეცემა, ჯერჯერობით, ბოლო თაობა მე ვარო! – ისე დამაჯერებლად გვეუბნებოდა ხოლმე ამას, ცოტა მაკლდა, მართლა მერწმუნა მისი სიტყვები, მაგრამ ბოლოს ქამანჩის ძირას ოქროსფრად ამოტვიფრული წარწერა შევნიშნე – Ереван, Советский Союз. 1961. მას მერე საიათ-ნოვას ქამანჩის მითი გაქრა.

არამოვები ჩვენზე ორი სართულით დაბლა ცხოვრობენ, აი, იმათი კარის მეზობლები კი, გოგიძეები არიან. – ქმარი ინჟინერი, ცოლი – ქართულის პედაგოგი. – კლასიკური ოჯახი, რომლის დარსაც ჩვენს ქალაქში უხვად ნახავთ. კაცმა რომ თქვას, არც ისინი ჩამოუვარდებიან არამოვებს

თავიანთი შემოსავლით, ერთი სიტყვით, არ უჭირთ, ერთი მარტო ის იყო, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ სათანა, გოგიძის ცოლი, ამოვიდა ჩვენთან დარდის გასაზიარებლად – სამსახურიდან გამათავისუფლესო. მიზეზი არავის დაუსახელებია, მაგრამ ყველამ იცოდა, ეს იმიტომ მოხდა, რომ გუცაევა იყო.

არცთუ შორს სკოლა გვქონდა, მეც ის სკოლა დავამთავრე სამი წლის წინათ, სათანა იქ ასწავლიდა, ჩემი მასწავლებელიც იყო და, უნდა გამოგიტყდეთ, თავს პრივილეგირებულად ვგრძნობდი – ჩემი კლასელებისაგან განსხვავებით, მე კარგად მომეხსენებოდა, როგორი იყო ჩვენი მასწავლებელი შინ. ისე, ძალიან განსხვავდებოდა. სკოლაში სულ წარბაწეული დადიოდა, ხმას უბატონოდ ვერ გასცემდი, აი, როგორც კი ჩვენს კორპუსს მიუახლოვდებოდა, ძველებური, ხმატკბილი ტონი უბრუნდებოდა. ერთხელ, მეოთხე კლასში რომ ვიყავი, მოუმზადებელი დავესწარი მის გაკვეთილს, მაინცადამაინც იმ დღეს მოისურვა ჩემი გამოკითხვა. „შვლის ნუკრის ნაამბობს“, ვარჩევდით, მე კი, ისე ვდუმდი კითხვებს რომ მისვამდა, გეგონებოდა, ეს მოთხრობა კი არა, ვაჟა რომ ვაჟაა, ეგეც პირველად გამეგო. ჰოდა, ორიანი ჩამიწერა. ათი წლის ბავშვს რა ჭკუა მქონდა, სახლამდე ძლივს შევიმაგრე ტირილი, აი, მერე კი წამსკდა კუნწულა ცრემლები. ზუსტად იმ დროს, მე რომ დიდ გლოვას მივეცემოდი დამსახურებული ორიანის გამო, დედაჩემმა შინ გუცაევა შემოიპატიჟა. ოთახში დავიმალე და სანამ არ წავიდა, არ გამოვსულვარ. თავი რომ გამოვყავი ოთახის კარიდან, დედაჩემმა მითხრა, სათანამ ფიჯჯინი[2] გამოაცხო და შემოგაწოდაო.

გული მომიბრუნდა.

გავიფიქრე, ცუდია-მეთქი, რომ გუცაევა სხვების მასწავლებელი ვეღარ იქნება. კარგად მახსოვს, რამხელა აღტაცებით გვიხსნიდა ვაჟას „სტუმარ-მასპინძელს“, მერე „ბახტრიონს“, „ვეფხისტყაოსანს“. თითქოს, უნდოდა, თითოეული ნაწარმოების სიდიადე შეგვეგრძნო ზუსტად ისე, როგორც

[2] ოსური ხორციანი ღვეზელი.

ამას თვითონ განიცდიდა. ძალიან ბევრი იყო ისეთი, საერთოდ რომ არ აინტერესებდა არც შენი ლუხუმი, არც ლელა, არც ტარიელის ცრემლთა ფრქვევა და ავთანდილის მიჯნურობა, ასეთებზე გუცაევას გული ძალიან სწყდებოდა, მაგრამ, როგორც კი მზერას ჩემს გადიდებულ თვალებს შეახვედრებდა, ამაო შრომის განცდა უქარწყლდებოდა. ალბათ ფიქრობდა, რაც მეოთხე კლასში ვაწვნიე, მას მერე გახდა ასეთიო, არადა, მე შეშინებული არ ვყოფილვარ, მოხიბლული უფრო გახლდით.

რამდენადაც უყვარდა ქართული, იმდენადვე არ ივიწყებდა ირონიულ ფესვებს. ის კი არადა, სამეზობლო რომ ერთ სუფრაზე შევიყრებოდით, რაც მაშინაც და ახლაც მყარად ფესვგადგმული ჩვეულება გახლავთ ამ ქალაქში, ბავშვების სადღეგრძელოს დალევამდე სათანა გუცაევა გვერდით მიმიხმობდა და თავისი ქმრისაგან განსხვავებით, რომელიც ფეხზე მდგარი, ხმამაღლა ამბობდა სათქმელს სხვა მამაკაცებთან ერთად, მჯდარი ჩამჩურჩულებდა ყურში:

– არფეგონდ უ, მა ხაბულ.[3]

ამ ოთხ სიტყვაში ყველაფერს ატევდა ხოლმე – თავის სიყვარულს, გულწრფელობას, მაგრამ ჩემთვის ყველაზე ფასეული მაინც ის იყო, ხაბულს რომ მეძახდა – შვილს, ან შვილზე უფრო მეტს. თავად ამბობდა, ისეთი თბილი, ისეთი ტკბილი სიტყვაა, ბოლომდე შვილსაც არა ნიშნავს, ზუსტად ვერა ვთარგმნიო. ან, რას დავეძებ, ზუსტად რას ნიშნავდა!

სათანა ლამაზია – სათანა ოსია!

ჩემს ბავშვობაში ყავისფერი თვალები, კულულა, მოდაზე შეჭრილი, მხრებამდე თმა და თხელი წარბები ჰქონდა. თუ რამ გააჩნდა საამაყო – ისიც თავისი სახელი. პატარაობაში ერთ დიდ გამოძიებაში ვიყავი – ქალს სათანა ერქვა და რა მოსწონდა ეშმაკის წოდებაში. ერთხელ, შვიდზე

[3] ოს. „დალოცვილი იყავი, შვილო!“

მეტისა არ ვიქნებოდი, შევბედე, უხსენებლის სახელი რადა გქვიათ, სათანა მასწავლებელო-მეთქი. იმდენი დამცინა, ვეღარა სუნთქავდა:

– სათანა სატანა კი არ არის, ბიჭო!

მას მერე ხშირად ვიხსენებთ და იმ პატარა ბავშვს, ოდესღაც რომ ვიყავი, ორ ხმაში დავცინით გაუჩერებლად. პირველად სწორედ იმ დღეს გავიგე, ვინ იყო სათანა – წითლებში შემოსილი ლუდის მხარშველი ქალღმერთი![4] გუცაევა ვერ ამართლებს სახელს – ლუდი არასდროს მოუხარშავს, სამაგიეროდ, ვასთირჯობას მთელ სადარბაზოს გვილოცავს დღემდე, მნიშვნელობა არ აქვს, ვინა ვართ და რა რწმენისა, ჩვენ მაინც სიხარულით ვიღებთ იმის მოლოცვასა და სამ, ერთმანეთზე დაწყობილ მრგვალ ღვეზელს, რომლებზეც მკაცრად, აწ მერამდენედ აფრთხილებს დედაჩემს:

– ქრისტინა, დაჭრის დროს არ მოატრიალო, არ შეიძლება!

გატრიალდება და წავა. დედაც წლებია, მართლა გარშემო ურბენს ხოლმე მაგიდას, რომელზეც დასაჭრელად გამზადებული ღვეზელი დევს.

ზუსტად ვერავინ იტყვის, რომელი, მაგრამ ვიცი, ჩემი სამეზობლო ერთი პატარა, ცალკე ქვეყანაა, რომელშიც ყველანი ერთად ვართ მოქუჩებულები. აქაა ჩემი სახლი, აქაა ჩემი სული, აქ არის ჩემი გულიცა და გულის ბატონიც...

პირველ სართულზე „ბროწეულის ყვავილი“ ცხოვრობს.

შანარი. შეხების[5] გოგონა.

* * *

[4] ოსური თქმულებების მიხედვით, სწორედ სათანამ ასწავლა ლუდის მოხარშვა ოსებს.
[5]იეზიდები სამ კასტად იყოფიან: შეხები, მრიდები და პირისები.

მე და შანარი ერთად დავიზარდეთ, როგორც დანარჩენი ეზოს ბავშვები. პატარაობაში თითქოს სხვანაირი იყო, მაგრამ თვალები არ შეცვლია. – თავიდანვე დიდრონი შავი თვალები ჰქონდა, ხშირი, ხშირი წამწამები. სანთელივით სხეული და გარუჯული კანი, თმა – ყორნისფერი და მძიმე. წარბები – მუქი და ლამაზი მოხაზულობისა. კბილები – აყვავებულ ნუშებსავით ათეთრებული, ტუჩები – თხელი. ხმა თავიდან ბავშვური და წვრილი ჰქონდა, მერე, ვერ მივხვდი, როდის, ცოტა ხრინწიანი გაუხდა, ქალურად ხავერდოვანი. არა, გოზალა კი მიყვარდა, მაგრამ მე მაინც ყოველთვის ვამბობ, რომ შანარი ჩემი პირველი სიყვარულია. ის კი არა, ახლა რომ ვფიქრობ, შანარი მაშინაც მიყვარდა, როცა გოზალას სურათს დავცქეროდი ხოლმე დიდი გატაცებით. რა, ნუთუ არ შეიძლებოდა, ერთდროულად ორი ქალი მყვარებოდა? მერე დავასკვენი, რომ იეზიდი გოგო ბავშვობიდან გულში მყავდა ჩავარდნილი – აბა, მაშ, მუდამ რად ვესარჩლებოდი, როცა თამაშისას გადაბრუნებულ სიტყვას ეტყოდნენ, ასე კი არა, ისე უნდა ითამაშოო, ან კიდევ, ერთ რვა მარტს რატომ მომინდა, სახლში ლარნაკიდან ამომეგლიჯა ხელოვნური ყვავილი და იმისთვის მეჩუქებინა? მერე კი, მართალია, დედაჩემი ქრისტინა რამდენიმე საათი იძიებდა, სად გაქრა ყვავილები, მაგრამ შანარის სიხარულად ღირდა ქრისტინასთვის ამ თავსატეხის გაჩენა. რაც გინდათ, ის თქვით, შანარს თვითონაც პატარაობიდან ვუყვარვარ – ჩემ გამო იმ ჯიხურის გამყიდველი მაჰმუდას შვილის, ვაგიფასთვის, ცხვირი აქვს გატეხილი. მაგ ვაგიფას მაგარი ჯანი აქვს და ბავშვობაშიც არ აკლებდა. ჰოდა, ერთხელ, აღარ მახსოვს რაზე, ისეთი შემომკრა, რეტდასხმული დაბლა გავგორდი. შანარმა დამინახა და მაგრად სცემა, ჯერ კიდევ მაშინ დავრწმუნდი, რომ ჩემი სიყვარული ცალმხრივი არ არის.

მერე დაქალდა შანარი, დადინჯდა, დაღვინდა და ერთი უთავბოლოდ ქაჯი ბავშვიდან მშვენიერ ქალწულად მუხლუხოსავით გარდაისახა. ნეტავ, სად გადის საზღვარი ჩვენსა და იმ ბავშვებს შორის, ოდესღაც რომ ვიყავით? უეჭველია, რომც არ ჩანდეს, ეს საზღვარი არსებობს და იმხელაა, რომ შანარს ვეღარ ვუახლოვდები, ვერც ის მოდის ჩემს

სიახლოვეს, ჩემ გამო ვეღარ სცემს აზერების ბიჭ ვაგიფას და ვეღარც მე ვიცავ თანამოთამაშეთა უსამართლობისაგან. ახლა ყვავილებს ვეღარ ვჩუქნი, მაგრამ ერთი რამ მაინც დარჩა უცვლელი – ჩემს დანახვაზე ისევ იმორცხვებს შეხების შვილი.

წეღან გითხარით გამყიდველ მაჰმუდას ბიჭმა დამარტყა-მეთქი, მაგრამ მე იმას არა ვთვლი, პირველად სწორედ შანარის გამო მომხვდა. ტყავისქურთუკიანი შავოსნები ჩვენს ქალაქს არ უკვირს. ბავშვობაში მათი შორიდან ყურება მიყვარდა, ჩვენს უბანშიც ბევრნი იყვნენ, ჩვეულებრივი ამბავი იყო. ვინც ჩემს კორპუსთან იკრიბებოდა, იმათზე ამბობდნენ, ქურდები არიანო. აი, თბილისური ლექსიკონის რამდენიმე რუსული მარგალიტიც სწორედ მათ თვალიერებასა და მათზე ყურმოკრული ამბების შედეგად დავისწავლე, ოღონდ, ზუსტად როდის – აღარ მახსოვს, ასეთი სიტყვები, ალბათ, ყველა იმ თბილისელის გონებასა და ლაპარაკშია ძირგადგმული, ვისაც ჩვენს დროში უცხოვრია. ვიდექი და ვათვალიერებდი ხოლმე ქურდებს, რომელთაგან, თუ სომეხ არევას დავუჯერებდი, უმეტესობა კანონიერი იყო.

კანონიერი ქურდი! – თან ზარს მცემდა ეს წოდება, თან აკრძალული ხილივით მეწეოდა თავისკენ.

ბავშვი ყველაფერს წამებში ისრუტავსო, მართალია. ერთხელ, არევას ვყავდი ეზოში ჩამოყვანილი, დედაჩემმა ცოტა ხნით მიმაბარა, იმანაც სიხარულით დამიტოვა. ზუსტად მაშინ თქვა ერთ-ერთ შავქურთუკიანზე, ათწლიან „სროკზე“ იყო და ახლა გამოვიდაო. იმ დღის მერე მეც ავიკვიატე ეს სიტყვა, მივადექი დედაჩემ ქრისტინას და ვუთხარი, „სროკზე“ მინდა-მეთქი. გადაირია. არ ვიცი, რა მეგონა სროკი, ალბათ, უფრო მოგზაურობა, რომელშიც დიდები ათი წლით მიდიოდნენ. – ის ბიჭი ხომ ათი წელიწადი იყო!

წესიერი ბევრი გახლდათ – მხოლოდ ჩემი თანამედროვენი გაიგებენ, ალბათ, რანაირად შეიძლება მოეწყოს ისე, რომ ყველაზე პატიოსანი კაცი კანონიერი ქურდის სახელით დადიოდეს ქალაქში. იმათშიცაა სიჭრელე

და სხვადასხვაობა. ჰოდა, პირველად სწორედ ერთ-ერთმა შავქურთუკიანმა მაგემა მუშტი. კიდევ კარგი, რომ მხოლოდ მუშტი გამოიყენა, ვიცოდით, მაგას ბევრი ჰყავდა დაჭრილი. საღამო იყო, სასწავლებლიდან ვბრუნდებოდი. თვალი შანარს შევასწარი, ჩვენს სადარბაზოში შედიოდა. იმ ქურდმა დაუსტვინა, მაგარი „ციგანკააო“ თქვა და თვალი ჩააყოლა. გავიწიე და რა გავიწიე! კი მართალია, წარბი გამისკდა და ცხვირიც ოდნავ გამებზარა, მაგრამ ჩემი გასაკეთებელი შანარის წინაშე პირნათლად გავაკეთე. არა, მე უფრო ის მახარებდა, შანარი ჩემზე ნერვიულობს-მეთქი. მართლა ინერვიულა! ვის ეჯიკავები, რომ ეჯიკავები, თავი დაანებე დაეხსენი, მაგისნაირები ქვეყანა დადიან, შენ ყველას ხომ არ უნდა მიუვარდეო, მითხრა. ეს ოთხი წლის წინ მოხდა, მაშინ ჯერ კიდევ მეგონა, რომ დღეს არა ხვალ და ხვალ თუ არა – ზეგ მაინც, შანარს მე შევირთავდი. სისიულელეა, რა თქმა უნდა, თავიდანვე სისულელე იყო, იეზიდს მე ვინ მომათხოვებდა! – არა, მე მაინც ჯიუტად მწამდა, რომ შანარს ვუყვარდი და ეს ყველაფერს შემაძლებინებდა! მაშინ კი არა, ნაძლევს დავდებ, ახლაც ვუყვარვარ!

შანარის მამას ზორანი ჰქვია, დედას – ქეზიბანი. ორივენი შეხები არიან. რაც მართალია, მართალია, თუ ვინმესი მეშინია, მხოლოდ ზორანის! სახელიც ისეთი ჰქვია, როგორიც შესახედაობა აქვს – ქურთულ ენაზე მეფეს ნიშნავს ზორანი და შანარის მამაც იფერებს თითქოს. უბატონოდ ხმას ვერავინ სცემს და ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ თვით იმ ქურდებსაც ეშინიათ ამ შეხებისა. ზორანი ერთი ტანში ჩასხმული კაცია, პატარა ულვაშები და შეუჭაღარავებელი თმა აქვს, აი, ასაკით კი, სადღაც ორმოცდათხუთმეტისა იქნება. დღეყოველ კრიალოსანს ატრიალებს, რომლის თვლები, ზუსტად ვიცი, თეთრია და ყავისფერი. მსხვილი, გარუჯული თითები აქვს, დათვური ხელები, კისერზე ოქროს ჯაჭვი ჰკიდია. თითქმის არასდროს ლაპარაკობს, მაგრამ თუ დაგელაპარაკა, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, „ნაღდს გეტყვის“. პატიოსანი კაცია, თავის დღეში არავის უთქვამს გადაბრუნებული სიტყვა ზორანზე, მდიდარი თუა, ხელგაშლილობაც თანდაყოლილ თვისებადა აქვს. აი,

ქეზიბანი ერთი თავწაკრული დედაკაცია, მკვრივი, დაჭიმული სახითა და ბევრი კაბით შემოსილი, მით უფრო მაშინ, თუ ზამთარია. მისი ზუსტი დახასიათებისათვის უნდა დავამატო, რომ, რაც რამ ოქრო უჩუქებიათ მისთვის ქორწილში, დღეყოველ ზედ აბნევია და სიგარეტსაც ეწევა, თან იმდენს, მაგდენი, თავს დავდებ, უბნის კაცებს არ მოუწევიათ ერთად. მდიდარი ხალხია, ღარიბები არც არასდროს ყოფილან – ისინი ხომ შეხები არიან! შანარი დედისერთა არ არის, მე მახსოვს, მაგათ კიდევ ჰყავდათ ერთი ვაჟი, შანარზე ბევრად უფროსი. რაც დაქორწინდა, მას მერე აღარ მინახავს, აი, მის ქორწილში კი ძალიან პატარა ვიყავი. მხოლოდ ზურნა-დუდუკის ხმა და ერთმანეთზე ნეკებგადაჭდობილი ხალხის წრე მახსოვს. კიდევ წითელი ფერი, ჰო წითელი ალამი! იეზიდების ქორწილები ბევრი მინახავს, მაგრამ ის ჩემთვის პირველი სანახაობა იყო და რამდენიმე კადრი სამუდამოდ ჩამელექა მეხსიერებაში. არ ვიცი, ახლა ალაზი სად ცხოვრობს, მაგრამ ცოლიც ჰყავს და, ალბათ, უკვე წამოზრდილი შვილებიც. აქ აღარ ჩამოდის, არც მაგის მიზეზი მკითხოთ, მაინც ვერ გიპასუხებთ.

შანარი ლამაზი იყო-მეთქი, გიხსენეთ და გულს მარტო ის მწყვეტს, რომ მხოლოდ მე არ მელამაზებოდა, ის სხვების თვალსაც წარიტაცებდა, მათ შორის, ერთი ჯერ წვერამოუღერავი ბიჭისა, რომელსაც ჰოზანი ერქვა სახელად. ჰოზანს ორი მიზეზით ვერ ვიტანდი – ჯერ ერთი, რომ შანარი უყვარდა, მერე მეორე – ჩემზე მამაცი აღმოჩნდა და ზორანს შეჰბედა, შენი ქალიშვილი მომათხოვეო. საწყალი, სულ კინწისკვრით გამოაგდეს იქიდან – მრიდი[6] ხარო, არ იცოდა, რომ შანარი შეხი იყო.

– ასეა, ყველა სათავისოს უნდა ეძებდეს, – გავიფიქრე მე და მკერდში რაღაც ჩამწყდა.

შარშან მოხდა ყველაფერი, შარშან დაიწყო.

---

[6] სხვადასხვა კასტა ერთმანეთზე არ ქორწინდება. შეხი შეხზე ქორწინდება, მრიდი – მრიდზე და ა.შ.

იცით, ბავშვობიდან მაქვს ეს თავისებურება, წელიწადის დროებს სუნით ვარჩევ. მკაფიოდ ვგრძნობ სურნელებს, რომლებიც ამ ოთხ დროს შორის სიოდ მიმოდის. მაშინ უკვე გაზაფხულის სურნელებით იყო ჰაერი გაჯერებული, აპრილი ახლოვდებოდა. ამ ქვეყნად ყველაზე მეტად იმის ყურება მიყვარს, როგორ იკვირტება ტყემლისა და ნუშის ხეები. ამ ხეების გაკვირტვაა სწორედ იმის მომასწავებელი, რომ კლოჩე სარე სალე[7] კარსაა მომდგარი. იმ დღეს შანარის სახლიდან აუცილებლად მოედება ნამცხვრის სუნი მთელ სადარბაზოს. – რა ხანია, დამახსოვრებული მაქვს, როდის ლოცულობს ზორანი, როდის ზელს ცომს ქეზიბანი და როდის აცხობს კლოჭს. ბედი მას, ვისაც კლოჭში ჩაგდებული მძივი შეხვდება – მეფესავით მოექცევიან! შარშანწინ კლოჭის მძივი ქეზიბანს ამოუვიდა, ზორანიცა და შანარიც თვალის ჩინივით უვლიდნენ მთელ წელიწადს, ზორანმა ყველაფერი ახალი უვაჭრა, თავსაფრებიც უყიდა, კაბებიც, სამკაულიც, რაც რამ მოითხოვა ქეზიბანმა, შარშანწინ ყველაფერი თითის დატკაცუნებით მიიღო – სამაგიეროდ, მთელი წლის წარმატების იმედი მასზე გახლდათ დამყარებული. შარშან მძივი შანარს შეხვდა, ის წელიწადი დედოფალივით აცხოვრეს. უთქმელი და გაუბედავი იყო, ეგეთს დედაჩემი თავის თავის უბედურს ეძახოდა ხოლმე. ვერაფრის თხოვნას ვერ შემოგბედავდა, მაგრამ იმ წელს რაც რამ მცირედი მოისურვა, ყველაფერი იმასაც აუსრულეს, მე კი ვნატრობდი, ერთხელ ისიც ეთქვა, მეექვსეზე შოთა რომ ცხოვრობს, იმას გამაყოლეთ ცოლადო. – ეს ნატვრა კი ნატვრად დამრჩა, სამაგიეროდ, სხვაგვარად ამისრულდა შანარის სურვილი.

ხანდახან კაცის გონებას ისე აბრმავებს სიყვარული, რომ მზად ვართ, მასაც გადავაბიჯოთ, ვინც სიყვარული შექმნა.

მეც ასე მოვიქეცი, ჩვენც ასე მოვიქეცით, მაგრამ ამ ამბავში სამწუხარო ეს კი არ არის, არამედ ის, რომ დღემდე არ ვნანობ ჩემს საქციელს. ჩემი და

[7] იეზიდური ახალი წელი.

შანარის მრწამსი, ორივე, ამას მრუშობას დაარქმევდა, მე კი გაბრძოლებას ვეძახი, ომს მაშინ, როდესაც ის უკვე წაგებულია.

შანარს ვუყვარდი, ძალიან ვუყვარდი, უბრალოდ უენოც იყო და ქალიც. ეს მაშინ მითხრა, უბანში რომ მიმბეგვა იმ შავქურთუკიანმა, მითხრა, ოღონდ უსიტყვებოდ, დიდრონი თვალების ერთი შემობრიალებით. მაშინ მეგონა, რომ ის შემოხედვა მაკლდა ჩემი გამარჯვების ბაირაღის აღსამართავად ბედისწერის პირუკუღმართობასთან ბრძოლაში. მეგონა, ეს ერთი შემოხედვა და უთქმელი დასტური შემაძლებინებდა, დამემსხვრია ყოველი ბარიკადი, რაც კი ჩვენ შორის ჩადგებოდა. – ახალგაზრდული ჟინის მოწოლა სხვა არაფერია, ვიდრე ფიქრი იმისა, რომ თუ სხვები დაამარცხა ცხოვრებამ, შენ გაუსხლტები, ის ერთადერთი საარაკო ფიგურა შენ გამოდგები და რა თქმა უნდა, როგორც ყველაფერი სხვა ზემოხსენებული, ესეც სისულელეა.

მაინც მგონია, რომ მე ეს ომი არ წამიგია. – შეხის გოგონა ჩემი იყო, კანონიერად თუ არა, აჯანყებით მაინც, აჯანყებით, რომელსაც ყველას წინაშე ვაწყობდი. ვიცოდი, ღმერთს საერთმანეთოდ არ ვუნდოდით და იმისი თავხედობაც კი მყოფნიდა, დიდი განმგებლისთვისაც ამბოხება გამომეცხადებინა. შანარი ჩემი იყო, იმ წუთიდან ჩემი იყო და რა ცუდია, როდესაც ბედნიერების უზღვავობისა და განუზომელი შიშის ტალღები ერთად გასკდება გულის ფიცარზე! მომაკვდინებელი შიში გვჭამდა, რომ ამ აჯანყებაზე დღეს არა – ხვალ ვინმე აუცილებლად გაიგებდა, შეთქმულებს კი საშინლად დასჯიდნენ. საბოლოოდ ყველაფერი ისე მთავრდებოდა, ორივენი ცოცხალნი ვრჩებოდით. ბოლოს ეს ხიფათის განცდაც წამერთვა, გავთავისუფლდი. ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ ყველაფერი ისე მოაწყო, შანარი მაინც ჩემად დავიგულე, მერე რა, თუ მე ყველაფერი სულ სხვანაირად წარმომედგინა.

ერთ ღამეს მითხრა, ჩემი სახელი ბროწეულის ყვავილს ნიშნავსო. მას მერე ბროწეული ავიკვიატე თავის ყვავილებიანად. თუ ბავშვობაში სარვამარტოდ ლარნაკიდან ამოგლეჯილ ხელოვნურ ყვავილებს

ვჩუქნიდი, უკვე წამოზრდილი – ბროწეულებს ვუძღვნიდი ხოლმე მსახურის მორიდებით, დედოფლის წინაშე რომ დაჩოქილა.

ოცნება ყველაზე საამური საცდურია ადამიანისა და ყველაზე მჭრელი იარაღი, რომელიც ეშმაკს უპყრია ხელთ ადამიანის მოსანადირებლად. უნდა გამოგიტყდეთ, ოცნება ყველაფერთან ერთად ჩემი ყველაზე დიდი ნიჭიცაა – წარმოსახვაში თავით გადაშვება არასდროს მიჭირდა და იქნებ, ამიტომაც მეგონა, რომ ჩემსა და შანარს შორის ამ ამბის დასასრულს მაინც ყველაფერი დალაგდებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, გაქცევასაც კი ვგეგმავდი მასთან ერთად, ოღონდ, კაცმა არ იცის, სად. მე მხოლოდ იმას ვუწყი, რომ მის გამო ყველაფერზე ვიყავი წამსვლელი, გულის სიღრმეში ვერა ვხვდებოდი, რა მაგიჟებდა ასეთნაირად, ახლა კი, ვასკვნი: რაც უფრო მაგრად გიჭერს მარწუხები, მით მეტად ცდილობ გათავისუფლებას. – რაც უფრო ვიაზრებდი, რომ შანართან ცხოვრება არ მეწერა, მით მეტად მიპყრობდა მასთან ყოფნის სურვილი.

დასაძინებლად დაწოლილი გულში აუცილებლად ჩემს თავს ველაპარაკები, ბავშვობიდან მომდგამს ეს ჩვეულება. შარშანდელ ღამეთა უმეტესი წილი იმის ფიქრით გავატარე, რატომ ხდებოდა, რომ ზოგს ყველაფერი ძალიან მარტივად ეძლეოდა, ზოგიერთს კი დიდი სიმწრის გადატანის ფასად, ან, მაშინაც არა. რატომ არის, რომ მაშინ გვისხლტება ხელიდან ბედნიერება, როცა მის შეგრძნებას, მისით ტკბობას ვიწყებთ. – ვერ ამოვხსენი. როცა ამის ამოხსნა უკანასკნელად ვცადე, საშინელ განწყობაზე დამეძინა, დამეძინა, ოღონდ კოშმარი საკვირველად გაღვიძების მერე, ცხადში ვნახე.

იმ დილით შანარი დანიშნეს.

მამამისს, ზორანს კარგა ხნის მონახული ჰყავდა ოჯახი, იეზიდი შეხების, მათი თანასწორი თბილისელი ოჯახი. გული გამიჩერდა, სუნთქვა დამავიწყდა, თვალებზე ლიბრი გადამეკრა, ეტყობა, მხოლოდ სმენა შემრჩა ჯანსაღი – გავიგონე, სიძეს დესთანი ჰქვიაო.

დესთანი! – მაშინებდა ეს სიტყვა, იმ წინასწარმეტყველებასავით მაშინებდა, რომლის ახდენა, ზუსტად ვიცოდი, გარდაუვალი იყო. დესთანი ბედს ნიშნავს.

იმედი სრულიად დავკარგე, მერე ეს დაკარგული, გაქარწყლებული რწმენა უცაბედად მოზღვავებით დამიბრუნდა და გულში გავივლე, სანამ გათხოვდება, მოვიტაცებ-მეთქი.

არ მომიტაცებია.

სამაგიეროდ, მის ქორწილს დავესწარი.

მზიანი ამინდი იყო, სექტემბრის ოცდარვა. ზურნა-დუდუკი ცას აპობდა ჟღერადობით, დესთანისა და შანარის ორი ნათესავი დოლს იმისთანად სცემდა, დღემდე მიკვირს, ხელები როგორ არ გადაუტყავდათ. ფრიალებდა ფერადი კაბები, ჭრელი თავსაფრები, ათასჯურა ფართლისაგან ნაკერი. მწყობრად ცეკვავდნენ ნეფე-პატარძლის ნათესავები, უწყვეტ ფერხულში თითგადაჭდობით ჩაბმულნი და ბოლოში რომელიღაც კაცი წითელ ალამს იქნევდა. კადრები ბუნდოვნად მახსოვს, ხმები – მკაფიოდ. დესთანის პატარძლად გამხდარ ჩემს შანარს შუბლზე სინი მიებჯინა, პირველი სართულის ფანჯრიდან ვაშლებს ისროდნენ – შანარის სინს უნდა მოხვედროდა, რომ პირველცოდვისაგან გათავისუფლებულიყო. დესთანი კაცებთან ერთად მხიარულობდა იმ წუთს და მე მენანებოდა, მენანებოდა შანარიცა და დესთანიც, რომელიც თავისი ცოლის სიდიადეს ვერასდროს მიხვდებოდა, იმის ხატს სანთლად არ დაენთებოდა, შვიდივე მთავარანგელოზში მის სახეს არ დალანდავდა, კუდგაშლილ წმინდა ფარშევანგს არ შეადარებდა მის ფერად სამოსს.

დესთანი ქორწილში გავიცანი. მუქი ფერის თმა, მუქივე კანი და თხელი, მაგრამ ძლიერი ხელი ჰქონდა, რომ ჩამომართვა იმიტომ მახსოვს. სიგარეტისა და ძალიან ნაცნობი ოდეკოლონის სუნი უდიოდა, მოდიდან მარად გადაუსვლელი „კრასნაია მასკვა“ იყო. თვალები...

თვალები არ მახსოვს, არ შემიხედავს თვალებში მისთვის.

ყველანი იქ იყვნენ, ყველა ჩემი მეზობელი იქ ცეკვავდა იეზიდებთან ერთად დედაჩემისა და მამაჩემის ჩათვლით, რომელნიც ეზოში გამართული ლხინობის ბოლო წამამდე მხიარულობდნენ. ყველანი იქ იყვნენ და ყველაზე ერთდროულად ვბრაზობდი. ამ გიჟურ ფერხულს შუა, ამ ზურნა-დუდუკსა და გამალებულ დოლის ცემაში, ეშმაკების სათაყვანო ზარებს რომ მომაგონებდა, მე ვიყავი მომწყვდეული, მე – ერთადერთი ჭირისუფალი, რომელსაც ქორწილში არც რა ესაქმება, ჭირისუფალი საკუთარი თავისა, რომელსაც ამ ქორწილის ბოლოს ასაფლავებდნენ.

ალბათ, რაც ყველაზე იშვიათად მიკეთებია ამ ცხოვრებაში, ტირილია. ვერანაირი მოვლენა, რაგინდ მძიმე იყოს, თუ ძალზე ახლობლის გარდაცვალება არ არის, ცრემლს ვერ გადმომაგდებინებს. მაშინ კი, მახსოვს, გვერდზე გავდექი, სადღაც შევეფარე და ჩემი თავი დავიტირე.

ცოცხლად.

ვბრაზობდი, ვბრაზობდი, რომ მეტი არაფერი გააკეთა შანარმა ჩემთვის ბოლოჯერ, უკანასკნელად შემოხედვის გარდა და ისიც ისე, რომ არავის არ შეენიშნა, ახალგათხოვილი ქალი სხვა კაცს ეძებს თვალებითო. მინდოდა, იქაურობა მიმომენგრია, მანქანის ცხვირზე ხელები მერტყა, გააჩერეთ-მეთქი, დამეგლიჯა ყველა ლენტი, რომლებიც ზედ შეებათ და მოუსვლელში მესროლა ის მახინჯი თოჯინაც, მანქანის ფარებშუიდან რომ შემომცქეროდა ნიშნისმოგებით. ამის სანაცვლოდ, გაუნძრევლად ვიდექი და ყურებში ჩემი თავისვე დაცინვა ჩამესმოდა, ასე უბრძოლველად, ასე ლაჩრულად სხვას როგორ მიართვი ის, რაც ყველაზე მეტად გიყვარდაო. ის ხმაც მინდოდა ჩამეწყვიტა რამენაირად და ვერაფერს ვუხერხებდი – მართალი იყო! და ამასობაში, მე დამვიწყნოდა, დამვიწყნოდა, რომ ზოგჯერ არ გვეკუთვნის ის, რაც ყველაზე ძალიან გვიყვარს. – შანარი ხომ თავიდანვე არ მეკუთვნოდა, მე ის ბედთან ჯიკაობითა და ჭიდილით დავისაკუთრე. მართალია, იმასაც ვუნდოდი, მართალია, ნატამალი განცდა არ გააჩნდა დესთანის მიმართ და ჩემკენ

გამოხედვისას სული იმასაც ეწვოდა, მაგრამ განგებას ადამიანი ნაკლებად აინტერესებს.

ბედისაგან გამოძალვილი, მოპარული საჩუქარი არ შემრჩა.

შანარი წავიდა.

ბროწეულები დაჭკნენ.

შეხი ზორანი და ქეზიბანი, რა თქმა უნდა, ისევ ჩვენთან ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ ველარ ვამჩნევდი და აღარც იმდენად მეშინოდა მათი. რადგან ქორწილის მეორე დღისით შეხების შეურაცხყოფილი რისხვა ვერ ვიხილე, ჩავთვალე, რომ შანარი გადარჩა – დესთანმა თავი მის პირველ კაცად მიითვალა. მეგონა, გულს ეს დამიმშვიდებდა, მაგრამ მე მთელი სისხლ-ხორცით ვდუღდი, შურისა და უსამართლობის დუღილით მიქაფქაფებდა შიგნეულობა. ერთი წელიწადი ასე გავატარე. მდუმარე ბერივით ვიყავი. სიყვარულის ბერი იმაზე მეტად საცოდავი და შესაბრალისია, ვიდრე ღვთისათვის თავგადადებული. ღვთის ბერს, ქრისტეს ბერს, ქვეყნად თავისი სიხარული აქვს – ის საკუთარი სულის გადასარჩენად ომობს, თავისი ბატონისაგან, ყოვლადმოწყალე მარადიული მღვდელმთავრისაგან, რომლის წინაც დამხობილა, იგი სამარადისო სასუფეველს მოელის. სიყვარულის ბერი არაფრის მოლოდინში არ გახლავთ – იმან თავისი განაჩენი წინასწარ იცის. – თავისი გაყინული კერპისაგან სამადლო მზერასაც ვერ მიიღებს, ის კი მაინც დაუღალავად მეტანიობს თავისი ღმერთის წინაშე.

ერთგულად.

ძაღლურად.

სიყვარულის დაყუდებული ბერი ცოდოა – მზადაა, მთელი სიცოცხლე იმაზე ლოცვაში გალიოს, ვინც საიმისოდ არ გაუჩენია განგებას, ვისაც ვერ შეაწვდება, ვისაც ვერ ეღირსება.

ამაოა მისი ლოცვები საკუთარი კერპის წინაშე.

მაინც შუბლს ურტყამს დაბლა.

თოთხმეტი აგვისტო ჩემი დაბადების დღეა – წელს ოცისა ომში გავხდი. თბილისიდან ბევრნი წამოვიდნენ, ოღონდ მარტო ქართველები არა, ეს ხომ თბილისი იყო! სხვები წამოვიდნენ, მე – გამოვიპარე. გამოვიპარე და პირველი, ვისაც ცეცხლმოკიდებულ სოხუმში გადავეყარე, არ დამიჯერებთ, ან როგორი დასაჯერებელია – დესთანი იყო. დესთანი, რომელმაც იმ დღეს სიკვდილს გადამარჩინა. შეშინებულმა გულში ჩამიკრა და ზურგზე ხელები იმდენ ხანს მიბრაგუნა, სანამ ძვლებმა ტკივილი არ დამიწყო.

მე ვიდექი და ვერაფერს ვამბობდი, ვიდექი და საპასუხოდ ვერ ვუბრაგუნებდი ხელებს, ჯანი წამრთმეოდა.

რაც მნახა, გვერდიდან აღარ მომშორებია, მე კი მწვავდა და მშანთავდა საკუთარი სინდისი მისი ყოველი შემოხედვისას, უთქმელად რომ აღმითქვამდა ძმობას. დესთანისთვის შინაური ვიყავი, ომში კი, ნაცნობ სახეს სხვა სევდის გემო დაჰყვება. რაც ომი დაიწყო, მას მერე აქ ვარო, სიამაყით მითხრა.

– ზოგი აქამდე გასაქცევს მოძებნიდა, – ვუთხარი მე და ტუჩის კუთხე მსუბუქმა სიცილმა გვერდულად ჩამიტეხა.

იეზიდმა წყენით შემომხედა, ვიგრძენი და თვალი მეც გავუსწორე.

– Моя родина здесь, Шота. какая еще земля похоронит меня? за какую еще страну я умру?[8]

ამას რომ მეუბნებოდა, თან ეღიმებოდა, აი, მე კი, ვცდილობდი, როგორმე საკუთარი თავის ზიზღით არ დავმხრჩვალიყავი.

[8] ჩემი სამშობლო აქ არის, შოთა. სხვა რომელი მიწა დამმარხავს? სხვა რომელი ქვეყნისთვის მოვკვდე?

იმ ტომრების უკან, რომლებს მიღმაც ვიმალებოდით ომის გრიგალში, იმ სიტყვების გაგონების შემდეგ, რომლებიც დესთანმა მითხრა, საკუთარი თავი ისე შემძულდა, ვეღარასდროს შევიყვარე.

იმ დღიდან პატიოსანი კაცის სიცოცხლე ცოდვად მკიდია კისერზე, იმ კაცისა, რომელთანაც ჩემი უბადრუკი არსებობა არაფერი იყო.

დესთანი იმ დღესვე დაიღუპა.

ჩემ თვალწინ დაიღუპა, მაგრამ უფრო მძიმე ის არის, რომ მხოლოდ ჩემ თვალწინ კი არა, არამედ – ჩემთვის.

ჩემკენ გამოსროლილ ტყვიას თავისი მკერდი დაუხვედრა.

ყველაზე ცოდო კაცი სიკვდილის წინ არის, ყველაზე შესაბრალისი მდგომარეობა სიცოცხლის ბოლო რამდენიმე წამია. – ნუ მომედავებით, მომაკვდავი ბევრი მინახავს, მაგრამ დესთანი უშიშრად მოკვდა, საკვირველი სიმამაცით დალია სული.

მახსენდება, როგორ დავაყარე მიწა, რომლისთვისაც ასე ამაყად გაიღო სიცოცხლე, მახსენდება ჩემი დაბადების დღეც, ერთი თვისწინანდელი, მახსენდება ჩემს უბანში გამართული იეზიდების ქორწილი, მახსენდება სომეხი რაფო და იმის ცოლი არევა, მახსენდება ეთერი, მახსენდება ჩემი ოსი მასწავლებელი, ჩემთვის დაწერილი ორიანი ხორციანი ფიჯჯინით რომ გამოისყიდა მეოთხე კლასში, მახსენდება მამა, დედა და შანარი, ჩემი შანარი...

მშურს, დესთან, მშურს, რომ ჩემი სიცოცხლის დასასრულს შენსავით მედგრად ვერა ვარ, მტკიცედ ვერ ვდგავარ სიკვდილის თესლით გამდიდრებულ, ნაღმიან მიწაზე...

მზე მთელ ტანს მიწვავს.

გაღმა დარჩნენ დანარჩენები და შორიდან შემომცქერიან.

იქ არიან რაფოც, არევაც, ეთერიც, გუცაევის ქალი სათანაც, დედაც, მამაც და ჩემი შანარიც, ისევ ისეთი, ადრე რომ იყო.

თავისკენ მიხმობენ ხელით.

იმათ ზურგ სუკან ბროწეულის ხეები ყვავის.

---

**არჩილ ხომერიკი**

***გამარჯვებული ნომინაციაში „რჩეული დებიუტი“***

# იქ, სადაც გემები არ მიდიან

დღეს 10 წლის გავხდი, ალბათ მამა დღესაც მომიტანს ალუბლის ტორტს, სულ მოაქვს ხოლმე. ახლახან გათენდა, სამსახურში იქნება მამა. მამა ბევრს მუშაობს, სულ მუშაობს. ძილი მიყვარს. მე სულ მძინავს და მაინც მეძინება, მაგრამ დღეს ძალიან ადრე გამეღვიძა. ისე, არასდროს მინახავს მამას როგორ სძინავს. დილით სახლში არ მხვდება, ღამით პირველს სულ მე მაძინებს და როცა მეღვიძება, თუნდაც შუა ღამე იყოს, მამა მაინც ფეხზე დგას და საქმეს აკეთებს, მაგრამ არასოდეს იღლება სახლის საქმის კეთებისას. ჩემმა მეგობარმა იონამ მითხრა, ასე რობოტები იქცევიანო, შემდეგ დედამ დაუძახა და ვეღარ ვითამაშეთ. არ ვიცი რა არის რობოტი,

არასდროს მინახავს, მაგრამ ალბათ მართალია, იონა არ იტყუება ხოლმე. ისე, დედაც არასდროს მინახავს. მამამ მითხრა, იქ არის, სადაც გემები არ მიდიანო, ამიტომ ვერ ბრუნდება უცხო მიწიდანო. ამის მჯერა, მამაც არასდროს ტყუის. ჩემს ყველა დაბადების დღეზე დედა საჩუქარს მიგზავნის. დღეს საჩუქარი არ დამხვედრია, ალბათ ვერავის გამოატანა, თორემ დედას არ დაავიწყდებოდა ჩემი დაბადების დღე, ჯერ არასდროს დავიწყებია. მამა ამბობს, დედა სულ შენზე ფიქრობსო, წერილებსაც მიკითხავს, დედას მოწერილს, მე არ მაკითხებს, სხვა ენაზე წერია, ვერ გაიგებო. არ ვიცი, მამამ სხვა ენა საიდან იცის, მაგრამ ხომ არ მომატყუებდა?! წერილის კითხვისას ხანდახან მგონია, ხმა უკანკალებს და თვალზე თითქოს ცრემლი ადგება, მაგრამ მერე მახსენდება, რომ მამები არ ტირიან.

ახლა ზამთარი არის. არავის უყვარს ზამთარი, სიცივეა და ბავშვებიც ვერ გადიან ეზოებში სათამაშოდ. მე და მამაც აღარ ვდარაჯობთ ჩიტებისთვის გაკეთებულ ხის სახლს. არ მოდიან ჩიტები ზამთარში. მამა მეუბნება, ზამთარში ჩიტები დედასთან მიფრინავენ შენი ამბების მოსაყოლადო, ჩვენ კი გალამაზებულ სახლს ვახვედრებთ, რომ აქ ჩამოსვლისას კარგად დაისვენონ და მამას დედას გამოტანებული ისტორიები უამბონ. მამამ ჩიტების ენაც იცის. ისე, მეცოდება ზამთარი, ალბათ როგორ სცივა… ნეტავ ზამთარს როგორი ბავშვობა ჰქონდა? ნეტავ თუ ეთამაშებოდნენ გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა? მგონი, ზამთარი არც მათ უყვართ. მარტო მე მიყვარს ზამთარი, როგორც მამა. ის მარტოა, მამასავით, მაგრამ, მგონი, მამა ყველაზე მარტოა, მას არ ჰყავს გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა, მამას მარტო მე ვყავარ და დედაც, მაგრამ დედასთან გემები არ მიდიან.

ერთხელ მამას სამსახურში გავყევი, ძალიან ვთხოვე და წამიყვანა. კარგი იყო ქალაქში გასეირნება, ამდენი ხალხი ერთად არასდროს მენახა. ყველას თავისი საქმე ჰქონდა, ყველა სადღაც მიიჩქაროდა. ნეტავ სად ეჩქარებათ ხოლმე ადამიანებს? მე არასდროს მეჩქარება. ალბათ, დიდი

რომ გავიზრდები, მეც ავჩქარდები, შეიძლება იმ ხალხზე ჩქარიც ვიყო, ჩემოდნებით რომ გარბოდნენ მატარებლისკენ, ან შეიძლება, მერეც არ მეჩქარებოდეს არსად, ჩვენი მეზობელი მოხუცი გერდასავით. სულ ნელა დადის, მაგრამ არსად აგვიანებს. მამა მეუბნება, ახალგაზრდები სულ ჩქარობენ და მაინც ყველგან აგვიანებენო, მოხუცი გერდასხელა ადამიანები კი არსად ჩქარობენ და მაინც დროზე მიდიან ყველგანო. ხანდახან ვერ ვიგებ მამას ნათქვამებს, თუმცა ამაზეც აქვს პასუხი. ასე მეუბნება, შვილები მამის ნათქვამს წლების შემდეგ იგებენო. ნეტავ სად მიდიოდნენ ჩემოდნიანი ხალხი? ნეტავ მატარებელიც არ მიდის დედასთან?

მამა მანქანების ექიმია. როცა ვინმეს მანქანა ავად ხდება, მამა წამლებს უნიშნავს ან ოპერაციას უკეთებს. მისი საქმე ძალიან საპასუხისმგებლოა, ამიტომ არ სცალია ხოლმე. ისე, მანქანებს ჰყავთ შვილები? ალბათ მამასნაირი მამები იქნებოდნენ, სულ მუშაობენ და ალბათ, იღლებიან კიდეც.

მამას დაბრუნებამდე იონასთან სათამაშოდ გასვლა მომინდა, იონას მამა არ ჰყავს, მამაჩემი კი მეუბნება რაიმე თუ დასჭირდა, უთხარი არ მოერიდოსო. მამაჩემს შეუძლია სხვისი მამაც იყოს, მამაჩემი მაგარია. როდესაც იონასკენ გავედი და დავუძახე, დედამისმა მითხრა, ავად არისო. სულ მპასუხობს, არ სცალიაო, მგონი, არ მოვწონვარ იონას დედას. იონას დედას ნათანი მოსწონს. მას სულ კარგად ესაუბრება. ნათანი მდიდარი არის. მას დედაც ჰყავს და მამაც, სულ მოწესრიგებულია, კარგად აცვია და არასდროსაა დასვრილი, მაგრამ ცოტა ამპარტავანია. მამა, ამას თუ წაიკითხავ, ბოდიში, ვიცი, არ შეიძლება მეგობარზე ცუდად საუბარი, მე ნათანს არ ვაგრძნობინებ, რომ ასე ვიფიქრე, ან იქნებ მე შემეშალა და სულაც არ არის ასეთი. მამა, არ იფიქრო, რომ მე მგონია ცუდად მაცვია, მე ძალიან მიყვარს შენი და დედას ნაჩუქარი ტანსაცმელები. სულ ვცდილობ, რომ თამაშისას არ დაჭუჭყიანდეს და არ გამიფუჭდეს, მაგრამ ალბათ იონას დედას ჰგონია არაფერს

ვუფრთხილდები და ცუდი ბავშვი ვარ, ის ხომ არ მიცნობს, არადა, მე არ გაბრაზებ. ხომ არ გაბრაზებ მამა?

უკვე მოსაღამოვდა, მამა არ ჩანს, ნეტავ კიდევ ბევრი ამუშავა უფროსმა? უფროსზე ცუდად არასდროს საუბრობს, განა ცუდი არ არის კაცი, რომელიც ისვენებს და სხვებს რთული სამუშაოს შესრულებაში არ ეხმარება? მაგრამ, ალბათ მართალია მამა, ცუდად სხვებზე არასდროს უნდა ისაუბრო, არავინ იცის, ვის რა უჭირს. ალბათ მშიერი იქნება მამა, დაღლილი და მიძინებული სახით მოვა, მაგრამ ჩემი დაბადების დღე არ დაავიწყდებოდა. ვზივარ პატარა ამაღლებულ კიბეზე სახლის შემოსასვლელ კართან და ველოდები ქალაქის დაბლობიდან მზესავით ამოსასვლელ, დაღლილობისგან მთვრალი კაცივით მობარბაცე მამაჩემს. არა, სასმელი არ უყვარს მამაჩემს, მაგრამ ალბათ უნდა უყვარდეს. ბიძია ალფრედმა მითხრა, დალევა კარგია, როცა დაღლილი ხარ, ან რამე გტკივაო. ჩვენი მეზობელია, ბიძია ალფრედს, ძალიან უცნაური სამსახური აქვს. მითხრა, მსმელად ვმუშაობო. სულ მთვრალია და თუ ჩვენს სახლთან გამოივლის, ვსაუბრობთ ხოლმე. საინტერესო კაცია ბიძია ალფრედი. რომ ვკითხე, სულ მთვრალი რატომ იყო, მიპასუხა, რომ გაიზრდები მიხვდებიო, მე ახლა მაინტერესებს-მეთქი ვუთხარი და მითხრა, მარტივად გეტყვიო: „არაფერი მაქვს იმისთვის, რომ არ დავლიო“. რა არის სიმარტივე უფროსებისთვის? ვერ გავიგე, მაგრამ, ალბათ, რამე რომ ჰქონოდა ბიძია ალფრედს, არ იმუშავებდა მსმელად. ამაშიც ვერ ვეთანხმები, ყველას აქვს რაღაც ნივთი ან რაიმე, რაც უყვარს. მე დედას და მამას ნაჩუქარი სათამაშო ლეკვი მყავს. კარგი იქნებოდა ნამდვილი ლეკვიც. მამამ მითხრა, ერთხელ აუცილებლად გიყიდიო. ისე, იქნებ არ უნდა ბიძია ალფრედს დალევა და იმიტომ სვამს, რომ ლეკვი არ ჰყავს? ხომ არ ვაჩუქო სათამაშო ლეკვი ბიძია ალფრედს? მამა რომ მოვა, ვკითხავ, თუ შეიძლება. ნეტავ მამას იმიტომ არ უყვარს სასმელი, რომ მე ვყავარ? არ ვიცი, ალბათ, როგორც ბიძია ალფრედმა მითხრა, რომ გავიზრდები მერე მივხვდები.

მოსაღამოვდა, მომშივდა, მამა ისევ არ ჩანს. არ მეშინია, მამა სულ ბრუნდება. ერთხელ დამპირდა, სადაც არ უნდა იყო, სულ შენთან ვიქნებიო. მამა დაპირებას სულ ასრულებს, ჯინივით არის, მაგრამ მე არ ვთხოვ ხოლმე, სულ თავისით ასრულებს. ცოტა მოვიწყინე, სანთლის შუქზე ხელებს ვითბობ. ცივა, მაგრამ მე არ მცივა, სახლს სცივა. ჩვენი სახლი მცივანაა, ხანდახან ცივდება და ახველებს, მერე მამა მკურნალობს ხოლმე, როგორც მანქანებს მკურნალობს. მე არასდროს ვცივდები, მაგრამ სიამოვნებით გავცივდებოდი, თუ დედა მიმკურნალებდა. არ გეწყინოს, მამა, შენც მინდა მიმკურნალო, მაგრამ, დედას ხომ არასდროს უმკურნალია ჩემთვის. დედაც ხომ ექიმია? მაგრამ, ალბათ სხვისი ბავშვების, სადღაც შორს, სადაც გემები ჯერ არ მისულან. მეძინება, აღარ მშია, ცოტა მეშინია. მამა, შენც დედასთან ხომ არ წახვედი? შორს, სადაც გემები არ მიდიან...

გარეთ უსაშველოდ თოვდა. პატარა ბიჭს თვალზე ცრემლი მოადგა, გაახსენდა, რომ კაცები არ ტირიან, მაგრამ თვალიდან მაინც გადმოვარდა მძიმე, თოვლის გუნდისხელა ცრემლი და ოთახის სიჩუმეში დაიკარგა. ცოტა ხანში ჩაეძინა. სიცარიელით დამჩატებული ოთახი ჩაძინებული ბიჭის სისავსით იტანჯებოდა.

შუაღამით კარის ხმა გაისმა. მძიმე, გაცვეთილმა, თოვლით დაფარულმა ფეხსაცმელმა სიჩუმის ბარიერი გაარღვია სახლში. ბიჭს ისევ ეძინა. კაცმა მაგიდაზე, რომელიც ოთახის სიცარიელის შევსებას ცდილობდა, ნახევარი ალუბლის ტორტი და კონვერტი დადო, ქურთუკი შეიხსნა და ჯიბიდან პატარა არსება ამოიყვანა, რომელსაც ყინვის მიუხედავად სულ არ სციოდა. კაცმა ბიჭს შუბლზე აკოცა და ცრემლებისგან დასველებული სახე შეუმშრალა. გვერდით მიუწვა და დანამული თვალები მამისდროინდელ სარკმლის შუშაზე დასვენებულ, ცის კიდიდან გადმომხტარ ფიფქებს აადევნა.

ნიკოლოზ გაბუნია

*გამარჯვებული ნომინაციაში „ჟიურის რჩეული ავტორი“*



# შამშირი

ხელი მთვარე დაპირქვავებული სირჩასავით დაჰყურებდა ლაჟვარდიდან შირაზის ველს. მიმოყრილი თვლები: ამეთვისტო, აქვამარინი, გიშერი, ცის ფიანდაზზე დიდებული ალაჰის მიერ ქინძისთავებივით დასმული, მოწყალედ უყოფდნენ თავიანთ სხივებს მთვლემარე ქალაქს. თბილი საღამო იყო, ბუღი მიწას აღარ ეკრო, ჭრიჭინები მოკრძალებულად ჩურჩულებდნენ, თითქოს იცოდნენ ვის ბაღში ბუდობდნენ, ვაი და არ გავაღვიძოთო. თუმცა მას არ ეძინა. გალავნით შემოხუტებულ ეზოს შუაში აბრძანებული შადრევანი ბაიათებს უმღეროდა და სიგრილეს ჩუქნიდა გარშემო ატოტებულ ბროწეულისა და კვიპაროსის ხეებს.

მშვიდობის სასუფეველი იყო ეს ბაღი, კაცის ხელმა ფერსწერა იგი შემოქმედის მიერ გამოძერწილი ცისა და მიწის ხატებად, სადიდებლად და არა სამკრეხლოდ, – აღმატებით მარად სახსოვრისაყოფად, რამეთუ კაცის მთელი ცხოვრების ნაჯაფევი საბადლოს წილადი ვერ იქნება ალაჰის ერთი ფუნჯის მოსმის. ერთი ხმელი წალამის ნატეხია კაცის ნახელავი ალაჰის ნებით ნაშობ ტევრთან შედარებით.

მეომარი, ახვატებულ უდაბნოებში ბრძოლის ველზე ნებაგამოჭედილი, ათაბაგის კარის დამსახურებული მაღალჩინოსანი. მისი ხელები – სისხლით განბანილი, მისი ბეჭები – გოდოლი უძრავი, მისი ფეხები – მტრის ციხეთა კედლების დამამსხვრეველი. ერთი გამოხედვით სავსე შუკებს კაცთაგან წრეტს, წუწკ ვაჭრებს აკეთილშობილებს და მიჯნურებს ამალინებს თავიანთ საყვარლებს. მისი შამშირის, დამასკოს ფოლადისგან ნაჭედი თაღოვანი ხმლის ერთი წაშტვენა ხამს მომხდურის მხრებისთვის თავის გამოსამშვიდებლად და ფრენაში მზის დასაბნელებლად. ცხენოსანი ათასისთავისთვის განკუთვნილი, ბრძოლის ველზე ცარგვლისკენ აღმართული ხმლის პირი ნახევარმთვარის ჩრდილს ტოვებდა ქვეყნებსა და ქალაქებზე, თითქოს ავ ნიშანს, დიდი ქარბუქის მომასწავებელს. ეს ხმალი უკვე სხეულის ნაწილი იყო, მკლავის გავლით მისი გულის გაგრძელება. შამშირი იყო სიტყვაც – და ხმალიც. მეჰრდად – სახელი მისი, ნიშნავს – მზით ნაჩუქარს. სალღურიდთა უძლეველი ჯარის ათასისთავი იყო, სპარსულად – ჰაზარაპატიში. ათაბაგის სამსახურში არაერთი რჯულისა თუ მოდგმის ლაშქარი დაუჩოქებია. სიყრმეშივე მეომრისთვის, ბრძოლის ველი იყო გამჭრიახი მხედართმთავრისა და სალღურიდთა სპარსეთის ჯარის მედგარი ბურჯის ბურთი და მოედანი, დამალობანა და დაჭერობანა. ბევრი ჭორი თარეშობდა მის ძალასა და დაუნდობლობაზე, სხვა ათასისთავებს თუ პატივს სცემდნენ, მეჰრდადისა დიდი რიდი ჰქონდათ, თუმცა ბრძოლის ველზე მისი ზურგის გამაგრება პირობა იყო გამარჯვებისა.

ოცდახუთ წელს რომ მიაღწია, ქიშის კუნძულის აღებისას დაიჭრა, ისარი მოხვდა სარცხვინელში. უამრავ სპათა სისხლით მოთუთქული ბრძოლის ველის იმ ადგილზე, მეჰრდადის ნათხევმა მეწამულმა ზედაშემ მარადი ბორდოსფერი ლაქა დატოვა. რამდენი ქვიშაც არ უნდა განებნიათ, არ შორდებოდა ლაქა მიწას, ხალივით აღმოცენდა დედამიწაზე, თითქოს შემოქმედმა ღვინისფერი მძიმე დასვა მეჰრდადის ცხოვრების პერგამენტსა და ამ კუნძულის რუკაზე. „ვარვარა სისხლი მიწის ქერქში ჩააღწევს, ყველა ქანს გაივლის, გეენის ჭერს გაბზარავს და მისი ხელითვე მანდ გაგზავნილ მტრებს მდუღარე, მწველ წვეთებად კისერზე დაენთხევა საუკუნოდ“, – ფიქრობდნენ ათასისთავის თანამეომრები. მეჰრდადი ქამარს ქვემოთ დაიჭრა, ტკივილი იმდენად აუტანელი, რამდენადაც დამამცირებელი, ხელყოფა კაცური სათავის. ათაბაგის პირადი საველე ექიმები უვლიდნენ, ცდილობდნენ სისხლი შეეჩერებინათ, მეომარს ყინულის სახეზე კი ქუთუთოც არ შესტოკვია. გულის სიმხურვალემ და ბრძოლის ველმა იგი დაასაჭურისა.

აბუ ბაქრ ალ ღარამს, ფარსის ათაბაგს, შვილივით უყვარდა მეჰრდადი. ბრმად ერთგული მეთაური და მეომარი აბუ ბაქრის ბრძანებებს პირდაპირ მისი გულიდან კითხულობდა და უთქმელადვე ასრულებდა. ათაბაგი უდიდეს პატივს სცემდა უბადლო მხედართმთავარს, ხმლის ოსტატსა და ულევი სიმხნევის შადრევანს, – კარგად იცნობდა მას და ეჭვის ნატამალიც არ ჰქონდა, რომ ჭრილობა გაშრობას ვერ მოასწრებდა, ცხენზე ამხედრებული ხმალმოელვარე მეთაური ბრძოლის ხვათქში პირველი შევარდებოდა. შეებრალა ათაბაგს ბიჭი, მეტად ახალგაზრდა, ზედმეტად სწრაფად წამოზრდილი – როგორც კაცობაში, ისე წოდებაში. ესეთი ჭრილობით ცხენზე მხედრობას ვეღარასდროს შეძლებს, უფრო მცირე წოდების შეთავაზება კი ნიჭით ამდენად დალოცვილი კაცის – ცოდვაა შემოქმედის წინააღმდეგ. მუდმივ წიოკში გამოზრდილისთვის, მშვიდობაში ერისკაცული ცხოვრება უცნობი იყო. ქიშის კუნძული მალევე დაეცა. სალღურიდთა ჯარი უძლეველი ფლოტით გამობრუნდა სამშობლოში. ათაბაგი თვალს ვერ აშორებდა მეჰრდადს, ნაჭრებში

გახვეულს, რომელიც გემბანიდან გადაჰყურებდა საბედისწერო ზღვის შუაში დაგდებულ კენჭს, შესაძლოდ მის ბოლო ტრიუმფსა და მეთაურობის სასაფლაოს. ათაბაგმა დიდი ხანი იფიქრა და გადაწყვიტა, რომ მეჰრდადმა საკმარისი უძღვნა პირადად მას, თავის ხალხს, სამშობლოსა და *თაბარაკა უატა ალა* – დიდებულ ღმერთს. იგი დარწმუნებული იყო, რომ მეჰრდადს ძალი და ღონე არ დასწრეტია და მშობელ ქალაქში მოსვენებაზე, ტახტზე წოლის ხვედრს არაფრის დიდებით არ დაყაბულდებოდა. ათაბეგმა ალ ღარამმა მეჰრდადი თავისი ჰარამხანის პირველ და ერთადერთ დარაჯად აკურთხა. საქმე მშვიდი, მაგრამ საპასუხისმგებლო იყო. წვრილ მეომართაგან ყველაზე უზნეონი ერთმანეთში ჩურჩულებდნენ და იცინოდნენ, – მეუფემ ძალიან შესაფერისი საქმე არგუნა ახლად დასაჭურისებულ კაცს, რომელსაც საკუთარი ქალი არ ეყოლებოდა არასდროს დასაცავი. ჰარამხანის დარაჯები სპარსეთის სხვა კუთხეებში ევნუხები იყვნენ და ამაზე ქილიკს ბოლო არ უჩანდა. ეს ძაღლური წკმუტუნი არაფერს ნიშნავდა მეჰრდადისთვის, პირში მსგავსის თქმას ვერავინ ვერასდროს ვერც გაუბედავდა, ათაბაგის ყოველი სიტყვა კი მისთვის წმინდა წერილივით პირდაპირი, ერთმნიშვნელოვანი, სიბრძნით სავსე და უპირმოთნეო ბრძანება იყო.

ძაფ-ძაფად გაბრწყინებულ ღამეში თავჩაქინდრული მეჰრდადი გზას ადგა, თავის მზერას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, როგორც ჭრაქის შუქს. უახლოვდებოდა ადგილს, რომელიც თავისი სახის ჯაჭვებისგან ხსნიდა, სადაც დასაძრახისი არ იქნებოდა მისი ურვა. ყოველ ღამე, გორაზე, მთვარის შუქზე წყვეტდა მცირეხანს სტოიკურ, მეომრის შესაფერის უგრძნობლობას. შორიდან მომზირალი შირაზი და ნახევარმთვარე ორადორი მოწმე იყო ათაბაგის მარჯვენის, – მეჰრდადის ნაღვლის. ამ ლოდზე ჯდომისას განეძარცვებოდა კუშტი საჭურველი და ჯაჭვის პერანგი. აქ იგი გულს იცარიელებდა, დატყვევებული გზნებების თასს აპირქვავებდა და საღერღელს იხსნიდა. მისი ცრემლები წვეთი-წვეთ რწყავდა უნაყოფო მიწას, მასავით უნაყოფოს, თითო ცრემლში კი

ირეკლებოდა ქალაქი მთვარით შუქმოფენილი, თითქოს მეჰრდადი პატარ-პატარა შირაზებით ტიროდა. ცივი, მოუხერხებელი ლოდი, ქალაქის გადამყურე, მისთვის ყველაზე რბილი სავარძელი ხდებოდა. შემდეგ ადგებოდა, ცალ ხელს წელზე შემორტყმული შამშირის ტარზე დაასვენებდა, წარბებს ციხის კარიბჭის დარაბებივით დააჯახებდა და დაუბრუნდებოდა თავის მოვალეობებს. როდესაც ბრძოლის ველს არ გადაჰყურებდა ჭადრაკის დაფისებრ, ათაბაგი ყოველ დღე სტუმრობდა ჰარამხანას იმ ოთახში, რომლის კარსაც მეჰრდადი იცავდა. სათნოდ ახედავდა, მოეხვეოდა ძველ სანდო ძმასა და მეგობარს, მოიკითხავდა, შემდეგ კი თავისი ცოლების მშვიდ საბუდელში განმარტოვდებოდა. მეჰრდადს ათაბაგის უდიდესი პატივისცემით, არც თვალი, არც გონი არ გაჰპარვია არასდროს ჰარამხანის ოთახისკენ. კართან ზურგით სვეტივით ატუზვა იყო მისი ერთადერთი მოვალეობა, მაგრამ ამასაც იმავე მხნეობით ასრულებდა მეჰრდადი, როგორც ველთა და მთათა დაგრაგნვაში ცხენოსანი მტრების დევნისას.

გრძელი გზის განვლის შემდეგ, მეჰრდადი მიუახლოვდა თავის ცრემლების ლოდს, გორაზე აღმართულს, თითქოს ზუსტად მისთვის, ზუსტად ამისთვის. თუმცა ამჯერად, უეცრად, დაინახა ხატება უცხო. სავანე ლოდი, მისი ნაღვლის ტახტი, უცხო სხეულს დაეკავებინა, რასმე არაამქვეყნიურს. მიწიდან კბილივით აღმოცენილ ქვაზე, შიშველი ქალიშვილი მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო. შირაზის მასჯიდის მარმარილოს შადრევანივით თეთრი კანი, ატმის მკერდი; ჩანჩქერის ნაკადივით ჩამოედინებოდა მისი სხეული ლოდზე. მეჰრდადისგან ცერად გაწოლილის გამჭვირვალე კანიდან იჭყიტებოდა სამი ნეკნი, რის ქვეშეთიდანაც გატეხილი კოკიდან მომდინარე რძესავით წელი იღვრებოდა. გრძელი ფეხები არაბესკებივით ამოტვიფრულიყო ლოდზე. ნაზ კითხვად მხრებაწეულს, იდაყვი ლოდზე მოემარჯვებინა, მტევანი მჩატედ ლივლივებდა ჰაერში, თითები კი ქოთნიდან ახლად აღმოცენებული კვირტივით სათნოდ ირხეოდა ნიავში. სუნთქვა განაზებული ისმოდა, თითქოს ძროხის მსგავსი, თავის ახალნაშობ

ბოჩოლას პირველად რომ ყნოსავს. მეჰრდადმა ისე დაახამხამა, თითქოს წამწამებზე სასწორის სიმძიმეები ეკიდა და ოდნავ გვერდით გაიხედა, მოაშორა მზერა. მხოლოდ მაშინ დაინახა, ქალიშვილის ბეჭებიდან არაბული ცხენის ძუასავით ხშირი, უკუნეთისფერი ორი ფრთა აღმოცენებულიყო, თავის ქალიდან განტოტვილი რქები კი ნახევარმთვარეს ქვემოდან ერჭობოდა. მიხვდა მეჰრდადი, რის რაობა იდგა მის თვალწინ. იბლისი, გეენიდან ამონაკურთხი. ნების გამოცდა, კაცთაგან უძლეველი არაერთი ბრძენისა და მეფის შემაცდენელი – სუკუბუსი. გამოიჭირა იგი დემონმა მის სისუსტის სავანეში, სადაც ურვის ლაგამს მჭიდროდ მოჭერილ ხელს ოდნავ უშვებდა. ევნუხმა მაქციის თვალებში წაიკითხა ლიცლიცა სიშვიდე. თაფლისფერი ძოწები ბრძოლისწინა ღამესავით მშვიდად შესციცინებდნენ მეჰრდადს, წამწამები ცისკენ აწეული, თითქოს ხელები – ალაჰის დიდებაში, ტუჩები რბილი, ძვირფასი თვლების ვაჭრის მეწამული მუთაქის დახლივით, ყელი – კაკლის ხის ვარჯივით გრძელი, რომელიც ცდიდა შემყურეს საკბენად თუ საკოცნად. ცალ ხელზე დაყრდნობილი იყო და მხარზე ნიკაპი მიედო, ასე შეჰყურებდა საჭურისს, თითქოს მისი შავი ეშმას ფრთები და ჯიხვის რქები არ შეენიშნა. ქალიშვილის თვალები – ცივი ქვები, უდაბნოს ღამესავით გამყინავი, რამდენადაც მისი მზერა ცხელი, როგორც უდაბნო ზენიტში მზისა. ნახშირივით მუქი თმები სქელი, გემის ღუზაზე გაბმული თოკივით ჩამოშლოდა ეგეოსის ზღვის თეთრკლდიანი ნაპირივით ფერმკრთალ და გამოკვეთილ ლავიწსა და მხრებზე. მეჰრდადს ენა ბუჟმა დაუფარა, ხელისგულები ოფლით შეეცხო, მზით დამწვარი სახე კი სპილოსძვლისფრად გაუფერადდა. სცადა ხელი ჩაეჭიდა ხმლისთვის, მაგრამ თითქოს მთელმა ძალამ დატოვა მისი ხელები, ჩამოეღვინთა, როგორც თაფლი გამტყდარი სკიდან. გადამბუგავი შიში იგრძნო, თითქოს სულმა ხახიდან ორთქლად დატოვა. ცახცახმა აიტანა მისი მარდი სხეული. დემონი უძრავად, ნაზი ხამხამით შეჰყურებდა მარჯვენა მხარის ზემოდან. დაფჩენილი თვალები და სუნთქვაწართმეული პირი დაუშრა მეჰრდადს, მაგრამ მთელი ღონე

მოიკრიბა და ისეთ ჭექასავით იფეთქა მისმა ხმამ, რომ შორეული ჰინდუსტანის იოგიებს ლოცვის ძილბურანიდან გამოაღვიძებდა:

- იბლის! სულებზე მონადირე ავო დჯინო, მორწმუნე კაცს ვერა რას დააკლებ, იბრუნე პირი იქ საიდანაც მოხვედი! – შეძახილმა ასერიგ მქუხარემ, ხეები გადაგრიხა, ღრუბლებს გეზი უცვალა, უშველებელი ლოდიც კი გასწია, რომელზეც საზარელი და გამაოგნებელი ჯოჯოხეთის გადმონაფურთხი იჯდა. მაგრამ იბლისს წარბიც არ შეხრია.
- დამშვიდდი, კეთილშობილო მეჰრდად; ამოსუნთქვასავით მშვიდად და გრილად დასძრა; რა უნდა გავნოს სიფრიფანა ქალიშვლიმა, შენ, კუნთისა და ნების უძრავ მინარეთს; მისი ხმა ყვავილების ფქვილივით აიყარა. ბგერები ნელსაცხებლის ნაპკურებივით მიმოიბნა ღამის ჰაერში. მეჰრდადი ცვილივით დნებოდა, შიშის გრიგალი და უცაბედი გრილი სიმშვიდის ნაკადი ერთმანეთში აირია.
- არ შეშინდე, განაგრძო ეშმამ. აქ შენს შესაცდენად არ მოვსულვარ. ორი ქარავანი ვართ, უდაბნოში ერთმანეთს რომ ჩაუვლიან. ომის თამაშში ისერიგ ხელნაწიფი მეთაური ხარ რომ დემონსაც შემოუსწარი ავის წადილში, ოდნავ შემაშინე კიდეც. მაგრამ მაპატიე მეჰრდად, თუ მზად იყავი შემოქმედის სასახელოდ ავი სულის განსაგმირად, შენს წასაცდენად არ მოვსულვარ აქ. შენ ვეღარაფერს წაგართმევ. მწიფე, მკვრივი ვაშლი ხის ტოტზე, – არის თუ არა ლეშიჭამია აფთრის ნადავლი?

მეჰრდადს თითქოს ეწყინა. რას ნიშნავს ვერაფერს წამართმევს? ჩემი სიტყვა ათას კაცს გადააძახებინებს თავს ზღვაში, შიშველი ხელით ქვას ხაჭოდ ვაქცევ, ჩემს ფეხების ნაკვალევზე კი ფარსის ველებზე ბალახიც არ ამოდის. მეჰრდადს შიში ბრაზად შეეცვალა, წამიერად მთელი ძალა დაუბრუნდა და ძვალრბილში სისხლმა რბოლა დაუწყო, პირი უნდა გაეღო დემონისთვის საპასუხოდ, მაგრამ მან გააწყვეტინა:

– ვერ მიმიხვდი, რაინდო. შენი ბადალი არ დადის მიწაზე, ძალაში, ნებაში, სილამაზეში თუ გონში, მაგრამ ამ ყველაფერს ვერ წაგართმევ, რადგან შენ კაცი არ ხარ, არამედ – უვარდო ეკალი, ურითმო ლექსი და ბლაგვი დაშნა. ათაბაგის ჰარამხანას იმიტომ იცავ, მშვენება და ქანდაკება რადგანაც ხარ. მისი ცოლები შენკენ ალბათ ისეთ მზერებს ისვრიან, როგორც ჩუქურთმებისკენ მასჯიდ ალ აქსას კედლებზე. შენ ხარ ელინთა სკულპტურა, თვალის შაქარი, წარსული დიდების ჟამთაღმწერი სახსოვრისი. ალაბასტრი ხარ, ლამაზი ქვა, რომლითაც კედელს ვერ ააშენებ. შენ დაკარგე შენი კაცობა, პორტალი და ხიდი, სუკუბუსი ვერაფერს წაგართმევს. არ გეწყინოს კეთილშობილო მეომარო, მაგრამ დემონს არ სჭირდები.

ცად აყრილი წარბები და მხრები მეჰრდადს სათითაოდ ჩამოეწია, ხელი ხმალს მოშორდა და ყბა ჩამოუვარდა პირმოკუმულს. თითქოს საკუთარ თავში შეძრომას ცდილობდა, ან კუსავით, ბაქანში მზერისგან დამალვას. ბიჭს დაემსგავსა, რომელიც გამოიჭირეს ლარნაკის გატეხაში. მიწაში სურდა ჩამძვრალიყო. აბუ ბაქრის ლაშქრის ათასისთავი შიშველივით იდგა სარცხვინელდაუფარავად, რამე დასაფარი რომ ჰქონოდა. ამ ნაზი, დემონურად მომხიბვლელი სიტყვებით, თითქოს თავიდან დაასაჭურისეს. მიხვდა, რომ ძალიან, ძალიან, ძალიან რომც ნდომოდა დანებება, ზინას, ცოდვის ჩადენა, – ეგეც არ გამოუვიდოდა. დემონის მკლავებში გახვევა, ყვავის ბუმბულივით ხშირ ფრთებში გაბნევა და მეძავობა, მზის ამოსვლამდე ხორცის ამობა, კბენა და კოცნა და სიძვა. ეს ყველაფერი ძალიანაც რომ სდომოდა, არ გამოუვიდოდა. რითაა ნების მთა, მას წაერთვა ნება, ვნება, გზნება და არჩევანი. ის კი პირმართალია ხალხისა და ღვთის მიმართ, მაგრამ მისი დამსახურება თუ არის? თუ არის მისი ნება?

ნელ-ნელა მიწა ანდამატივით იზიდავდა, უმძიმდებოდა თავი და ფეხები, თითქოს გეენიდან ბაწრებით ექაჩებოდნენ. რამდენიმე ნაბიჯი

გადადგა და იმ ლოდზევე ჩამოჯდა. სუკუბუსი გაიხედა, გადაშლილი შირაზის ხედიდან ათაბაგის სახლის აყვავებული ბაღი ყველაზე თბილად ანათებდა. საჭურისი და სუკუბუსი ერთ ლოდზე ისხდნენ ზურგიზურგ. დემონი ქალაქს უყურებდა, ევნუხი კი ბილიკს, რომლითაც მოვიდა. მეჰრდადს აღარ ეშინოდა, უბრალოდ ძალიან დაიქანცა. დჯინის შავი ფრთა გადმოსწვდა და მოეფერა დაღლილ მეომარს სახეზე.

– ათაბაგი ალ ღარამი შენი ძმა გეგონა, თუმცა მასხარა ფეშქაშად გაქცია. ამყაყებული, აძმარებული ღვინოსავით ბნელ საკუჭნაოში გისროლა, თვალს მოგაშორა. აქამდე თუ გახსოვს, ჰარამხანას დაცვა ჰყოლოდა? უკვე დაგმარხა, მოგიფიქრა საქმე, რომ არ იწკმუტუნო ნელ-ნელა ჩირად ქცევაში; – მთვარის გავლით მეჰრდადს უთხრა სუკუბუსმა.

პირველად თუ აღმოხდა მეჰრდადს ასეთი ოხვრა. ფეხებიდან თითქოს ფესვები გაუშვა ლოდში. იგი გამწარდა – ათაბაგზე, დემონზე, საკუთარ თავზე, მთვარეზეც და შირაზზეც. სახეზე ანიღბულ პეშვებზე თითქოს ზედ ადნებოდა ღაწვები სიმხურვალისგან. მთელი ცხოვრება ათაბაგის სამსახურში იყო, უმლიქვნელოდ და შეუურჩებლად ასრულებდა მის ბრძანებებს, ახლა კი, როდესაც გამომჭკნარ დამშრალ ხედ იქცა და ვერც ბრძოლაში და ვერც მშვიდობაში გამოდგება – ახლა ასეთი დამცინავი, უმოწყალოდ დამცინავი სამსახური უბოძა. ხელმოცარულ ხეიბრად დატოვა. არასდროს ასეთი აზრები ათაბაგის ღირსებისთვის არ გაუყადრებია, ახლა კი გულის ამოფსკვნით სახეგალურჯებული, მიხვდა, რამდენად დაუნდობლად შეურაცხყო აბუ ბაქრ ალ ღარამმა. როდოსის კოლოსივით დგას მეჰრდადი კართან, დარაჯი ოთახის, რომელშიც არასდროს ყოფილა, იცავს ჰარამხანას, რომელიც თვალის ჩინში არასდროს მოხვედრია, კაცისთვის, რომელიც პატივს არ სცემს. ათაბაგი კი ჩამოისეირნებს, მხარზე ხელს დაადებს და საათობით განცხრომას მიეცემა ცოლებთან, ას გოჯში მისგან – ევნუხისგან, მის მსახურებაში

დაკოდილისგან. გულის ბუჟი მრისხანებად გადაფერდა, – მზით ნაჩუქარი – ნახშირამდე ჩაიწვა და მთვარის შუქზე ვეღარ იგიზგიზებს.

სუკუბუსი მშვიდად იჯდა. მის თვალში არც იკითხებოდა ბოროტება, თითქოს ცოტა თანაგრძნობაც ჩანდა. ბაზარში წვრილ ქურდბაცაცობაზე გულკეთილი დარაჯი რომ დაიჭერს პატარა ბიჭს, თითქოს მსგავსად იყურებოდა. სუკუბუსმა თავისი საქმე მაინც შეასრულა – ლეთარგიულ უსასოობაში ისროლა მეჰრდადი. ზურგით მჯდარმა იბლისმა საუბარი დაიწყო, თუმცა მეჰრდადს ყურში მხოლოდ ძლივს გასარჩევი ჰაერის რხევები შესდიოდა. ფიქრების მჟავე გუბეში ტივტივებდა, გვერდზე ელვაც რომ დასცემოდა – არ გატოკდებოდა. არც იყო საჭირო ამ სიტყვების გაგება, მეჰრდადმა უკვე იცოდა იბლისი რასაც იტყოდა. მეჰრდადისგან ათაბაგის ცოლების ამოწყვეტა უნდოდა, ქალებთან რა ესაქმება მას – კაცთა მაცდურს; ათაბაგ ალ ღარამს კი თვითონ, ცხრომაში ამოხდიდა სულს. რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, მეჰრდადისთვის უკვე სულ ერთი იყო დემონის არაამქვეყნიური მიზნები, გამართლებები და საუბარი.

უგზნოდ აყარა თავისი გვამივით დამძიმებული ფეხები და გასწორდა. მრისხანება ჩაეხშო, ახლა სხვა ძალა ამოძრავებდა. აწი მას ახალი ათაბაგები ჰყავდა – უსასოობა და ამპარტავნება. თავდადებისთვის დაბადებული, ვინმეს სამსახურში ყოფნა მისი ბუნება იყო და ახლა მხოლოდ მათ მაამებლობაში ხედავდა ცხოვრების გაგრძელების მიზეზს. გულით სჯეროდა, რომ თვითონ გადაწყვიტა ამის ჩადენა და სუკუბუსის შეცდენა არაფერ შუაში იყო, ახლა უბრალოდ მათ მიზნებს თანხვედრა ჰქონდათ. ორნი ჩანდნენ ბილიკზე მომავალნი; – ნაბიჯდამძიმებული ჰარამხანის დარაჯი და სიფრიფანა, შავ მოსასხამმოგდებული გოგონა, რომლის ნაბიჯები მიწას არც ეხებოდა, უკუაგდებდა შირაზის ქვიშა თითქოს მის ტერფებს. შავი ფრთები ოდნავ უჩანდა მოსაცმლის ქვემოდან. მხრებჩამოყრილი მეჰრდადი, მძიმე ნაბიჯებს მთელი წონით ეცემოდა დაღმართზე მოარული, თითქოს ბიჭი – სახლში მამის

გაწყრომას რომ მოელის და არ ჩქარობს დაბრუნებას. აღარც ახსოვდა გოგირდის სუნიანი იბლისი რომ იყო მისი თანამგზავრი. სიზმარში გაბნეული სიცხიანი მთვარეული გახდა, თავში კი ახალჩამოსხმული ქაფიანი ღვინის შუშხუნი ჰქონდა ფიქრის მაგიერ.

ვერც შეემჩნია, რომ ათაბაგის სახლის ეზოს უყურებდა უკვე. ბაღში შევიდნენ და ჩქარი ნაბიჯით გადასერეს. მშვიდობის ჟამი იყო და ათაბაგი ხალხს უყვარდა, ამიტომ დარაჯებიც კანტიკუნტად, მწირად დაიარებოდნენ ბაღში. ამ საღამოს მხოლოდ ერთი იყო. ათაბაგის კარის სეფექალთან განმარტოებულიყო. უჩუმარი, საიდუმლო შეხვედრა იყო შეყვარებულთა. სახლის კარიბჭესთან, ბაღის ბოლოს, ბროწეულის ხესთან ჩურჩულებდნენ ფოთლებში გაბნეულნი. მეჰრდადმა და თანამგზავრმა ბაღი გადაჭრეს და პირაპირ მათთან აღმოჩნდნენ. თვალის დახამხამებაში იბლისმა თითი ყელზე გაუსვა დარაჯს, მისი კანი გამკვრივდა, დაშრა, ბროწეულის ნაფცქვნად გაიფურჩქნა და განებნია მიწაზე, მეჰრდადმა კი სეფექალს ყელზე ხანჯალი გაუსვა, სისხლის მაგიერ კი ბროწეულის მარცვლები განინთხა ბაღის ქვაფენილზე.

ბუკი-ნაბათივით ყრუ გნიასად გაისმა მძიმე და სწრაფი ნაბიჯები მთელს სახლზე, ქუსლები ავაზას კბილებივით ესობოდა კედრის ფიცრის იატაკს, სანამ წყვილი ჰარამხანის ოთახის კართან არ გაჩერდა ლაგამმოჭერილი ტაიჭივით. მეჰრდადმა სახელური მომუჭა, კლდესავით მძიმე იყო. ეჭვისა და შფოთვის გემოიანი ბურთი გაეჩხირა ყელში მეჰრდადს, მაგრამ მის ყოველ კუნთს, მყესსა და ხრტილს დასახულის ასრულების ჩვევა განაგებდა. თითები ჩაასო სახელურს, თითქოს გავარვარებულს. ძე იყო ნების და არარა გადაუხერგავდა მას გზას. გადასწია სახელური და გამოაღო ყველაზე მძიმე კარი რაც კი ოდეს გაუღია, ოფლად დაიღვარა და ორი ხელით ძლივს გამოსწია. მზად იყო სისხლის ნიაღვრით სახლის ფუძე ნესტით ჩაელპო. პირველად, დარაჯობის დაწყების დღიდან შევიდა მანდ. ელოდა უშველებელ ოთახს ხილის ლანგრებითა და ფერუმარილების კოლოფებით მიმოფენილს, მაქმანებით

მოჩუქურთმებული ფარდებით დამშვენებულ სარეცლებს, ათაბაგის ცოლების შესაფერის ფუფუნებას; თვალწინ კი დახვდა პატარა, ერთმანეთზე აზვინული დახვეული ხალიჩებითა და გობელენებით ნახევრად სავსე საკუჭნაო. ოთახის შუაში იდგა პატარა მაგიდა, დასაჯდომი მუთაქით მის ქვეშ. მაგიდაზე იდო წმინდა ყურანი, სარკმლიდან კი მას მთვარის შუქი დანათებდა. სუკუბუსი შემოვარდა ოთახში, განიძარცვა მოსასხამი და აფრებივით აუშვა ფრთები პაწაწინა საკუჭნაოსხელა ოთახში, თითქოს პატარა ნავსაყუდელ ყურეში. თვალები პირველად აღარ ჰქონდა მშვიდი, გაკვირვებულად იყურებოდა, ვერაფერი გაეგო. თუმცა მეჰრდადს ფიქრი და განცდა აღარ დასჭირდა, ყველაფერს მიხვდა. კარი გაიხურა. საკუჭნაოს სარკმლიდან შემოჭმუხნული ნახევარმთვარის შუქს მხოლოდღა შიშველი შამშირი ირეკლავდა და ზეაჭრილ შავ ბუმბულებს აფერადებდა ცისარტყლის ფერებად.

---

**ილია ჭანტურია**

***გამარჯვებული ნომინაციაში „რჩეული დებიუტი“***

# ეს ჩვენი მწვანე მინდორი

ის იყო ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებელი. გელა, დაბალი, ოდნავ სუსტი კაცი, თმებში შეპარული ჭაღარით და ულვაშით, ამ ულვაშს ყვითელი ფერი შეჰპარვოდა თუთუნის მოწევის გამო. დილაობით თავზე მოკლე თმა ყოველთვის გადავარცხნილი ჰქონდა და უპრიალებდა, ალბათ დილაობით სველი ხელებით ისწორებდა. სანამ უფილტრო სიგარეტები იყიდებოდა ქალაქში, პირში ყოველთვის მუნდშტუკი ჰქონდა გაჩრილი და მერე ამ მუნდშტუკში გატენილი „ასტრას“ ღერი. უფილტრო „ასტრა“ და „პრიმას“ გაყიდვა, რომ შეწყდა ყვითელ ბიჩოკიან სიგარეტზე გადავიდა. იშვიათად თუ სიგარეტის გარეშე დავინახავდით, მარტო გაკვეთილის დროს და გაკვეთილის დროსაც თითო ღერის მოწევის გარეშე მაინც ვერ ძლებდა. სკოლაშიც, შესვენებებზე ეზოში სიგარეტგაჩრილი იდგა ხოლმე მოშორებით კუთხეში. მერე სკოლის ეზოში მოწევაც აკრძალეს და დაცვის ბიჭებთან ერთად ეზოს გარეთ შემოსასვლელთან უწევდა ატუზვა. მწეველების ბირჟა იყო. დაცვის ბიჭები და თვითონ. მასწავლებლებიდან კაციც მარტო თვითონ იყო. შუა ხნის ასაკს ცოტათი გადაცილებული, ასე სამოცდახუთი-სამოცდაექვსი წლის. არ მახსოვს, ბავშვი ვიყავი და ასაკსაც ასე ვერ ვარჩევდი. ჰოდა, როგორც კი გვერდით ჩაგივლიდა ან რაიმეს სათქმელად მოვიდოდა შენთან, ეს თუთუნის სუნი სულ დაჰყვებოდა თან. საპარსი ქაფის და თუთუნის. ყოველ დილით, რომ იპარსავდა წვერს მაგიტომ. მოწესრიგებული კაცი იყო, პატარა, მოწესრიგებული და კოხტა. მაგრამ ეს სუნი ახლაც მახსოვს. მწარე თუთუნის სუნი, ისეთი დერეფანშიც, რომ იგრძნობდი.

ყოველთვის მასწავლებელი არ ყოფილა. თვრამეტი თუ ჩვიდმეტი წლიდან მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა. მეტალურგიულ ქარხანაში ამზადებდნენ თვითმფრინავების ნაწილებს. მერე ეს ნაწილები სხვა და სხვა ადგილებზე იგზავნებოდა, ზოგი საქართველოს სხვა

ქალაქებში, ზოგი რუსეთში. მოკლედ, მოცულობით ძალიან დიდი ქარხანა არ ყოფილა, მაგრამ ამ სფეროსთვის ძალიანაც მნიშვნელოვანი კი იყო. მერე საბჭოთა კავშირიც დაიშალა და ქარხანაც დახურეს. მაგრამ დახურვამდე ერთ ადგილობრივ ჩინოვნიკს უყიდია, მაგის მერე რამდენიმე თვეს უმუშავია ქარხანას და მერე უკვე დახურულა. რაღაც ნაწილები, რომლის გადატანაც მოხერხდა ჯართში გაიყიდა, რაღაც ნაწილები დარჩა და ახლაც იმ ძველ შენობაში იჟანგება. მაგის მერე რაღაც პერიოდი არსადაც არ უმუშავია, ისე, როგორც ყველა სხვა დანარჩენი ქარხნის ყოფილი მუშა ამ არეულობის და ომის შემყურე უმუშევრად იყო სახლში დედამისთან ერთად. იყო მაგ დროს ახლომახლო სოფლებში მხედრიონის შემოსვლები და სოფელში ხალხის დაწიოკება. ამბობენ, რომ გელაც სამეზობლოს რამდენიმე კაცთან ერთად იარაღზე ჩალიჩობდა, მერე იარაღით იდგნენ ხოლმე სხვა და სხვა ქუჩის თავებში, ყარაულობდნენ, მაგრამ მე როგორც ვიცი ჩვენს უბანში არც მხედრიონი და არც სხვა ბანდიტები არ შემოსულან, არ ვიცი ეს მათი დამსახურება იყო იარაღით რომ ყარაულობდნენ ქუჩებს თუ რისი, მაგრამ მე როგორც დედაჩემისგან და მამაჩემისგან ვიცი, აქ არავინ შემოსულა.

მერე, როცა ყველაფერი ასე თუ ისე მიწყნარდა, მაგაზეც დაიწყო საუბარი, რომ ქარხანა ხელახლა დაიწყებდა ფუნქციონირებას, მაგრამ არავინ არ იცოდა ჯართში ჩაბარებულ ქარხანას როგორ უნდა ემუშავა, რაც იყო დარჩენილი იყო, მაგრამ რა უნდა ექნათ, რაღაც მთავარი ნაწილები არც ჰქონდათ. მაგის პასუხად ქალაქის მერიიდან ისმოდა, რომ ინვესტორი უკვე დაინტერესებულია და როგორც კი იყიდის მეტალურგიულ ქარხანას საკუთარი ინვენტარით მოამარაგებს. ინვესტორი რა იყო, ისიც ბევრმა არავინ იცოდა, არასდროს კერძო პირისთვის არცერთს არ ჰქონდა ნამუშევარი. ხელშეკრულების დასადებად სულ რამდენიმე დღე იყო დარჩენილი და ხელფასების ამბავსაც მალე გაიგებდნენ. მაგრამ ეს რამდენიმე დღე გაიწელა და გაიწელა, კვირაში ერთხელ რაღაც ახალი ამბავი მოდიოდა, მერე თვეში ერთხელ და მერე საერთოდ მიჩუმდა. ქარხნის ყოფილი მუშების ნაწილი სხვა ქალაქებში გადავიდა სამუშაოდ,

ზოგი საერთოდ ქვეყნიდან წავიდა, ნაწილმა მეურნეობას მიჰყო ხელი და მთელი ეს ოთხმოცდაათიანი წლები თავსაც ამით ირჩენდა. ასე იქცა ჩვენი ქალაქი, ხალხისგან თითქმის დაცლილ სოფლად. ქალაქი ერქვა, ისე სოფელი იყო, აბა, რა იყო. გელა მაშინ ახალგაზრდა კი იქნებოდა, ასე ოცდაათ წლამდე ან ზემოთ. ვერც ქალაქი დატოვა და ვერც დედამისი, არც მიწა ჰქონდა მეურნეობისთვის, მარტო პატარა ეზო-კარი, მარტოხელა იყო, ცოლი არც არასდროს მოუყვანია. რისი გაკეთებაც შეეძლო და რასაც მთელი თავისის ახალგაზრდობა დაუთმო მეტალურგია იყო, მეტალთან და რკინასთან მუშაობა, გადადნობა და გადმოდნობა. თვითმფრინავების ნაწილების აწყობა დიდი „ბოინგებისთვის“ და დიდი ინდუსტრიებისთვის. ამიტომ სამსახურის ძებნა თან მაშინ, როცა სამსახურები თითქმის არ იყო გაჭირდა. ბოლოს ქალაქის სკოლაში დაიწყო მუშაობა ფიზკულტურის მასწავლებლად მეზობლების რჩევით. ბიჭობის პერიოდში ფეხბურთის გუნდში თამაშობდა, როგორც თვითონ ჰყვებოდა ხოლმე კარგი მოთამაშეც იყო, ზუსტ ადგილებში კარგადაც ძვრებოდა და გოლებიც გაჰქონდა, მაგრამ მერე მწვრთნელმა სიმაღლის გამო დაიწუნა და გუნდიდანაც გაუშვეს, სიმაღლის გამო თუ იმის გამო, რომ გუნდში ვიღაც ქალაქის კოოპერატივის უფროსის შვილის ჩასმა უნდოდათ, არ იცოდა. ამიტომ დაიწყო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობა და სკოლასაც შერჩა. ისე როგორც თავის დროზე მეტალურგიულ ქარხანას.

პირველად მისი გაკვეთილი, როცა გვქონდა ასე თერთმეტი-თორმეტი წლისები ვიყავით. თვითონ როგორც ვთქვი ასე სამოცდახუთი წლის. მანამდე ფეხბურთი არასდროს არ გვქონდა ერთმანეთთან ნათამაშევი კლასელებს. მარტო ჩვენ-ჩვენს უბანში თუ გავაგორებდით ბურთს მეზობლებთან. სკოლის მოედანსაც ყოველთვის შორიდან ვათვალიერებდით ხოლმე. იქ ყოველთვის უფროს კლასელები თამაშობდნენ. დასვენებაზეც ახლო მახლო რატომღაც არავინ მიგვიშვებდა, ჩვენ კიდევ შორიდან ვუყურებდით დიდი ბიჭების თამაშებს. არ ვიცი, რატომ მიყვარდა ამ სტადიონის ყოველთვის შორიდან

თვალიერება, რომც არავის არ ეთამაშა დასვენების დროს ყოველთვის ვუყურებდი. ეს ჩვენი სტადიონი მწვანე მინდვრით გაფენილი არასდროს ყოფილა. ბეტონი იყო დაგებული და ამ ბეტონზე ფეხბურთის სტადიონის ხაზები გადაესვათ საღებავით უხსოვარ დროს, ეს საღებავიც გადაქერცლოდა, კარებთან და სტადიონის განაპირებზე რამდენიმეგან ბეტონიც აცვენილი იყო და როგორც კი იწვიმებდა, ატალახიანდებოდა. ბალახიც ვერ ასწრებდა ამოსვლას. ამიტომ იყო ჩვენი სტადიონი ბეტონით და ტალახით გაშენებული. და იმ დღეს, როცა პირველად გვიტარდებოდა ფიზკულტურის გაკვეთილი გელა მასწავლებელთან, დედაჩემმა დილით გამაფრთხილა, რომ მუხლებ და სახე ალეწილი არ დავბრუნებულიყავი სახლში, ფრთხილად იარე და დააკვირდი ფეხს სად დაადგამო. მე ბურთის გორაობის დროს სიარული არ ვიცოდი რა იყო, ბურთს გავიგდებდი და გავეკიდებოდი, როგორც კი მეზობლის ჭიშკარს მივუახლოვდებოდი ერთს მაგრად წამოვკრავდი ბურთს ფეხს და ზოგჯერ ბურთი ჭიშკარს ხვდებოდა ან მეზობლის სახლის სარკეს. ამიტომ პირველ გაკვეთილზე ზედმეტი არ მიფიქრია ფეხს რაზე დავადგამდი, ბეტონზე თამაშს ჩვენი ქალაქის ბავშვები პატარაობიდანვე ვიყავით მიჩვეული, ამიტომ ერთი სული მქონდა ფეხბურთი მეთამაშა.

სექტემბერი იყო, როცა პირველად მისი გაკვეთილი ჩაგვიტარდა. იმ წელს შემოდგომამ ზაფხულს დამთავრებაც არ აცადა, დაუკითხავად შემოიჭრა, თავისი ცივი ქარებით, კვირაში ერთხელ წვიმიანობით. ქალაქში სადღაც ჭადრების ფოთლები იწყებდნენ ჭკნობას და ქუჩებში გამვლელებს ფეხებში ედებოდნენ. მეეზოვეებს საქმეს უმატებდნენ.

ჩვენ ყველანი ფეხბურთის ფორმებში ვიყავით გამოწყობილი, ჩვენი უფროსი ძმების, მეზობლების თუ ნათესავების ნაქონში. ბუცები ბევრი თხოვნა მუდარის მერე დედაჩემმა მომიტანა. ბუცები იყო შავი, წითელი ზოლებით, „კოკა-კოლის“ ფერებით, ყავისფერი ძირით, მგონი სადღაც ჰუმანიტარული დახმარების პაკეტებიდან, რომელიც სამეზობლოებში მოჰქონდათ ხოლმე და ჩვენც ვინაწილებდით.

გელა წინ წაგვიძღვა ბურთით ხელში, როგორც კი სტადიონზე შევაბიჯეთ, გულიც ოდნავ ამიჩქარდა. გახარებული კლასელი ბიჭები ერთმანეთს ვუყურებდით, მაგას ველოდებოდით ბურთს როდის ჩავიგდებდით ხელში და ვითამაშებდით.

მე მაგ დროს ერთი კლასელი გოგო მიყვარდა, ვერ ვუტყდებოდი და მარტო ეგ დამრჩენოდა ჩემი თამაშით მომეწონებინა თავი. საერთოდ ასე ვიყავი, გოგო თუ შემიყვარდებოდა, მერე მაგასთან კრინტს ვერ დავძრავდი ხოლმე. ამიტომ ფეხბურთი უნდა ყოფილიყო ჩემი მხსნელი. ამ ჩემს კლასელ გოგოს იშვიათად გავხედავდი ხოლმე, თან ისე არავის რომ არ შეენიშნა, თან სტადიონს ვაკვირდებოდი და პირველ გოლს წარმოვიდგენდი მოწინააღმდეგის კარში შეგდებულს.

გელა მასწავლებელმა სწორ ხაზზე დაგვაყენა სიმაღლის მიხედვით. მე შუაში მომიწია ატუზვა. ტანით ძალიან მაღალი არასდროს ვყოფილვარ, რასაც ვერ ვიტყვით ჩემს ყურებზე და ხელებზე. თითქოს ჩემმა ყურებმა და ხელებმა ჩემს სხეულზე ადრე გადაწყვიტეს ზრდა. ისინი იზრდებოდნენ, დანარჩენი სხეული კი იმავე სიმაღლის რჩებოდა, ან ძალიან ნელა მიჩანჩალებდა მის უკან. ამიტომ შორიდან ყველა მარჩევდა ხოლმე. თუკი მზის შუქზე მივდიოდი, ჩემი ყურები მიჩრდილავდნენ გზას. კლასელები ზოგჯერ დამცინოდნენ კიდეც, დარასელია წვიმაში თუ მიდის არ სველდება, ყურები ფარავენ და თუ ხელებიც მიახმარა თავსხმა წვიმიდანაც მშრალი გამოვაო. მოკლედ, რთული ბავშვობა მქონდა.

- ახლა დაიძრებით და სამ წრეს დაარტყამთ სტადიონს. წავიდა!

და ბავშვების ხაზიც დაიძრა.

- იი, ერთი-ორი, ერთი-ორი, შუსტრად არ გინდათ, გაავარჯიშეთ კუნთები, ერთი-ორი, ერთი-ორი.

იმ დღეს ფეხბურთი არ გვითამაშია. ვერ ვხვდებოდით ბურთი რისთვის გამოაყოლა ხელს, თუკი ფეხბურთი არ უნდა გვეთამაშა. გაკვეთილის მერე ყველანი სახლებში დავბრუნდით მოწყენილი სახეებით და

ტალახიანი ბუცებით. იმ დღეს კიდევ დედაჩემის ჩხუბი ამ უკანასკნელის გამო არ ამცდენია.

მეორე კვირას, როცა უკვე სტადიონზე ვიდექით გელა მასწავლებელმა გვკითხა.

- რომელმა იცით აქედან ფეხბურთის თამაში, ასწიეთ, აბა, ხელი.

და ეს მომენტიც დადგა. გახარებული აბა, მეტს რას ვიზამდი იმ წამსვე ხელი ავწიე. ჰორიზონტზე ჩემს კლასელებსაც გავხედე და ჩემსავით კიდევ ჩემს ექვს თანაკლასელს ჰქონდა ხელი აწეული.

- ძალიან კარგი. აბა, ვინც თამაში არ იცით სტადიონზე გახვალთ, დღეს დარტყმას და პასებს ვისწავლით. მეორე ნახევარი ვინც თამაში იცით, სანამ ამათ ვავარჯიშებ წრეებს დაარტყამთ სტადიონს, მერე აზიდვებიც იქნება.

ამიტომ აზიდვების გამო იმ დღეს სახლში მისულს მოწყენილ სახეს და ტალახიან ბუცებს, ტალახიანი ხელებიც დაემატა. რაც მთავარია, ამჯერად დედაჩემს არ უჩხუბია, ხელი ჩაიქნია.

* * *

შემოდგომამ უკვე ბინა დაიდო ქალაქში. ყვითელი ფოთლებით ივსებოდა ჩვენი სკოლის ეზო. სკოლის დამლაგებელს, ასე ოდნავ ხანშიშესულ ქალს ყოველ დილით უწევდა ფოთლების მოგროვება. ზოგჯერ გელა მასწავლებელთან დაიბუზღუნებდა შენი და შენი ბავშვების გამო ვაკეთებ ახლა ამასო. გელა პასუხობდა: მე რა?! შემოდგომის ბრალიაო და მერე ფოთლების მოხვეტაში და გავსებული ტომრების გატანაში ეხმარებოდა. თან რაღაცნაირი პედანტი იყო, სტადიონზე ერთი ფოთოლიც არ უნდა გდებულიყო, ყველას სათითაოდ მოაგროვებდა, ისე აწესრიგებდა ვითომ აქ რამდენიმე წუთში ჩემპიონთა ლიგის თამაში უნდა გამართულიყო.

მაგრამ აცვენილი ბეტონი მაინც თავისას ამხელდა, მაგაში ვერავინ მოტყუვდებოდა.

მეორე გაკვეთილზე უკვე ჩვენც დავიწყეთ პასებზე და დარტყმებზე ვარჯიში. ისე აღმოჩნდა, რომ არც იმ ექვსი ბავშვიდან, რომლებმაც ხელი ავიწიეთ დიდი ფეხბურთის მცოდნე არცერთი ყოფილა. მარტო ერთი-ორმა იცოდა ბურთის კარგად გორაობა და იმ ერთი-ორში კიდევ მე ნამდვილად არ ვერიე. ფიზკულტურის გაკვეთილი კვირაში სულ ორჯერ გვიტარდებოდა, ისიც წვიმიანი ამინდების შემთხვევაში, გვიცდებოდა, ამიტომ სექტემბრის თვემ გაიარა მხოლოდ ვარჯიშით და სწავლით.

ოქტომბრის პირველი კვირის ხუთშაბათს კი პირველი თამაში შედგა. რაღაც ასეთი თანმიმდევრობით გვიწევდა თამაში. ჯერ ბიჭები ვთამაშობდით, მერე გოგოები და ასე ვენაცვლებოდით ერთმანეთს. სიმართლე გითხრა, თავი მართლა გამოვიჩინე, მართალია საოცრებები არ მიკეთებია, მაგრამ ყველა შეტევაში ვერთვებოდი, ყველგან თავდაუზოგავად ვიბრძოდი. ამის მთავარი მამოძრავებელი ჩემი ნიჭი არ ყოფილა, ამის მთავარი მამოძრავებელი სტადიონის გვერდზე სკამზე იჯდა გოგოებთან ერთად, მთელი ჩვენი თამაშის დროს ხან გოგონებთან ლაპარაკობდა, ხან გამომხედავდა, მეც გავხედავდი და რაღაც უცნაური გრძნობა სხეულში დამივლიდა, მერე ენერგიითაც მმუხტავდა და ვუტევდი და ვუტევდი, ზუსტად არ ვიცი შორიდან როგორ ჩანდა ჩემი მუდმივი მოძრაობები, მაგრამ იმ მომენტში ნამდვილად მეგონა, რომ ჩემს გარდა ამ სტადიონზე ბურთს ვერავინ იღებდა და აგორავებდა თავისი სილამაზით. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ სადღაც თამაშის მეორე ნახევრისკენ გელა მასწავლებელმა დამიძახა და სათადარიგოზე დამსვა. დარასელია, ახლა შენ დაისვენებ, ნამეტანი არ გადაიღალოო. უფრო იმაზე დამწყდა გული, რომ ჩემს თამაშზე ერთი კარგი სიტყვაც არ წამოსცდენია. არადა, ხომ ვიცოდი, რომ საუკეთესო მანდ მე ვიყავი. თამაშის ბოლომდე ვიჯექი ასე თავჩაქინდრული, ცოტა დამორცხვებული და ცოტა ნაწყენი. ჩემს გარდა მარტო ორი მოთამაშე შეცვალა. მართალია

ყველას უნდა ეთამაშა, მაგრამ იმ სამი კაციდან მაინც და მაინც მე რატომ აღმოვჩნდი პირველი გასაყვანი. ვერც ჩემს კლასელ გოგოს გავხედავდი ხოლმე სირცხვილისგან. იქნებ აქეთ მიყურებდა კიდეც, არ ვიცი. თამაში მერე მალევე დამთავრდა და ზარიც დაირეკა. ბოლო გაკვეთილი იყო და სკოლაც მთავრდებოდა. ჩემი ჩანთა ზურგზე მოვიკიდე, არავისთან არაფერი მითქვამს. სხვები კლასში ავიდნენ. გასახდელი იმ დროს არ იყო და ამიტომ გოგონებს და ბიჭებს, რიგრიგობით უნდა გამოგვეცვალა საკლასო ოთახში. მე ჭიშკრისკენ დავიძარი თავჩახრილი. მერე ზურგზე ვიღაცის ხელი ვიგრძენი.

- ბიჭო, ასეთი გახურებული ცივ ამინდში გრიპს აიკიდებ, გრიპს და ანთებას კიდო, ღმერთმა ნუ ქნას.

გელა მასწავლებელი იყო.

- მერე სიცხეს მოგცემდეს იქნება და გაცივდები და ფუტბოლზეც კიდო კარგად მეყოლე. გამიგე?
- რა ვიცი, მასწ, დამსვით და...

ისე ჩემთვის ჩავილაპარაკე, მგონი არც გაუგია.

- წამოდი შენ აქ!

მანიშნა ხელით და კარისკენ გამიძღვა. ბურთთან მივიდა რამდენჯერმე დაუგდებლად აკენწლა და ბოლოს ხელში დაიჭირა.

- შენ იაშინი ჰო იცი ვინ იყო?

მე ვერაფერს ვპასუხობ.

- ლევ იაშინი, ბიჭო. საიუზის ნაკრების მეკარე.
- არ ვიცი, მასწ.
- სკოლაში არ გასწავლიან ამას?

უარის ნიშნად თავს ვაქნევ.

- კარრროჩე... ეგ არაფერი. შენ იცი რას ამბობდა ლევ იაშინი?

მერე ჩერდება და

- მარა თვითონ იაშინი არ იცი და რას იტყოდა კიდო ეგ საიდან გეცოდინებოდა, ეს ხომ მართალი?

იცინის, მე სადღაც ტუჩებში მეღიმება.

- ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს კაცი ამბობდა ბურთიო, ბიჭო, ბურთიო...

ასეთი გაწელილი ლაპარაკი იცოდა.

- ბურთს თუ ვერ შევეხე მე თამაშამდეო, ისე თამაშს ვერ ვიწყებო. გამიგე? როგორც რომ დურგალი უნდა შეეხოს უეჭველ ვარიანტში თავის დაფასო, გამიგე? პრივიჩკა რაბოჩევო კლასა. ხო გამიგე?

მე ვერაფერი ვერ გავიგე.

- გავიგე, მას.

თავი დავუქნიე მაინც.

- ანუ რისი თქმა უნდოდა ამ კაცს... ფეხბურთს ვერ ითამაშებ თუ ბურთი ვერ შეიგრძნე, თუ სტადიონი ვერ დაინახე, და ვერ შეიგრძნე ეგეც, ჰო გამიგე?

მე თავს ვუქნევ.

- რო ეხები ხვდები რა საგანიცაა. ბურთი ჰო, თან ჩვეულებრივი ნივთია გამიგე? მარა თან რაღაცა ჯადოსნურია. ხალხს გადარევს, ხალხს გაახარებს, ხალხს აატირებს. გამიგე? კარროოჩჩეე, ბურთი მაგარია.

ხელით კარისკენ მანიშნებს. მე კარისკენ მივდივარ. შორიდან გამოირბენს და კარში ურტყამს, ბურთისკენ ვიხრები, მაგრამ ვერ ვიღებ. ბურთი მომაქვს და ისევ ვუბრუნებ.

- ჰოდა, შენ, შენ ხედავ სტადიონს. და ბურთს გრძნობ. გეტყობა. რეაქცია გაქვს სწრაფი.

კიდევ გამოირბენს და მირტყამს, მე უკვე ვიხრები ხელს ვკრავ, ბურთი ძელს ხვდება და ისევ მისკენ ბრუნდება.

- კარროჩეე... დღეიდან, ჩვენი გუნდის მეკარე იქნები. გამიგე?

ისევ გამოირბენს, ურტყამს, მე ვხტები და ბურთს პირდაპირ ხელებით ვიგერიებ.

სიმართლე გითხრა, ეს შემოთავაზება მაშინ დიდი ბედნიერებით არ მიმიღია. მთელი ეგ დრო მაგაზე ვფიქრობდი, რომ მეკარედ ჩემი დიდი ხელების გამო დამნიშნა. ასეა, ვითომ არ იმჩნევდა და მიზეზებს იგონებდა, მაგრამ უეჭველად ჰგონია დიდი ხელებით და ყურებით გადავფარავ კარს-მეთქი. თან როგორ გინდა მერე კლასელებს შეხედო, ალბათ რამე ახალ ხუმრობასაც მიმაკერებენ-მეთქი და ჩემზე მოსაფიქრებელი ხუმრობების ვერსიებმა ჩემს თავში დაიწყეს ბორიალი.

თან შემოთავაზებაც არ იყო, ჩვენი გუნდის მეკარე იქნები და მორჩა. მე საერთოდ ეგეც არ ვიცოდი, რომ გუნდს ამზადებდა და თან მეკარეობა ჩვენში, ბავშვებში დიდი პოპულარობით არც გამოირჩეოდა. როგორც არის ხოლმე, კარში ყოველთვის იმას ვაყენებდით, ვინც ყველაზე ცუდად თამაშობდა. ყველას ერთი სული ჰქონდა კარიდან როდის გამოვიდოდა. მე კიდევ სამუდამოდ კარში დგომა მომესაჯა. ამიტომ რამდენიმე თამაში დამჭირდა ჩემს პოზიციას შევჩვეოდი. ჩემი მეკარეობა მაშინ გაფორმდა ოფიციალურად, როცა ერთი ქულით წინ წასული თამაშის დროს ბოლო წუთებში მოწინააღმდეგე გუნდიდან ერთი ერთზე გამოვარდა ჩემი კლასელი, კარგი მოთამაშე და კარგი გოლების გამტანიც. მე როგორც გელა მასწავლებლისგან ნასწავლი მქონდა დაცვას დავაკვირდი, მერე რო ვნახე რომ დაცვა ჩემი დამხმარე არ იქნებოდა წინ გამოვიჭერი კარის დასაფარად ხელებგაშლილი, მეტოქემაც ერთი კარგად დაარტყა, მარცხნივ ვხტებოდი მაგრამ ფეხი დამრჩა მარჯვნივ და ბურთიც

მოვიგერიე. რაღაც ყველამ ერთად შესძახა, ფაქტობრივად თამაში გადავარჩინე, ჩემს კლასელ გოგოსაც გავხედე და პირველად დავინახე მიღიმოდა და თავს აქნევდა მგონი შექების ნიშნად, ეს იყო ოფიციალური დასტური იმის, რომ მე ჩვენი გუნდის მეკარე უნდა გავმხდარიყავი.

მაგრამ ერთი პრობლემა იყო, ყოველი თამაშის მერე ხელები ან გადაყვლეფილი მქონდა ან ტალახში ამოგლესილი. მეკარის ხელთათმანები იყო საჭირო. მეკარის ხელთათმანებს ათიოდე ლარი სჭირდებოდა, უფრო ხარისხიანს მეტიც და კიდევ დედაჩემისთვის თხოვნა, რომ ეყიდა. დედაჩემის უარის შემთხვევაში, მამაჩემთან მისვლა, მერე ბებიაჩემთან და ასე შემდეგ. ამიტომ ეს ყველაფერი პირველივე უარით დაიწყო. დედაჩემმა ისედაც ბევრი დავხარჯე შენს წიგნებზე და პირველი დღის ტანსაცმელზეო, ან ნუ დახტიხარ ამ კარში კატასავით, ან საერთოდ დაანებე მეკარეობას თავიო. შემდეგი ირიბი უარი მამაჩემისგან იყო, რომ ბებიაჩემის საპენსიო სესხს როგორც კი გაისტუმრებდნენ, ხელთათმანებსაც მიყიდდნენ, მაგრამ ეს სესხი როდის დამთავრდებოდა მამაზეციერმაც არ იცოდა. საბოლოო სიტყვა ბებიაჩემზე იყო, რომელმაც მკაცრად გადაწყვიტა.

– ვალენტინასგან ვისხესხებ! ბავშვს პერჩატკი სჭირდება.

ვალენტინა ჩვენი კარის მეზობელი იყო. შვილი ჰყავდა უცხოეთში და ყოველ თვიურად ასე თუ ისე ნორმალურ დახმარებას უგზავნიდა. ყოველ შემთხვევაში, მარტო პენსიაზე არ იყო დამოკიდებული და ცალკეც ინახავდა ხოლმე ფულს, როგორც ასაკიან ქალებს სჩვევიათ. ამიტომ ბებიაჩემმა ჩემი ხელთათმანების საყიდლად ვალენტინას ბანკიდან აიღო უპროცენტო სესხი, „როცა შეძლებ დაბრუნებას მაშინ იყოს“ ვალდებულებით.

ამიტომაც შემდეგ გაკვეთილზე ჩვენს კარს უკვე შავი ხელთათმანებით ვიცავდი. შავ ხელთათმანებს გვერდებზე თეთრი ზოლები მიყვებოდა. ადიდასის პატენტი იყო, მაგრამ ხარისხიანი პატენტი. უკვე ძლიერი დარტყმების მოგერიებაც შემეძლო თამამად.

გუნდი ნელ ნელა ყალიბდებოდა. ივსებოდა მცველებით, ნახევარმცველებით და თავდამსხმელებით. გელა მასწავლებელი რისთვისაც გვამზადებდა სასკოლო ჩემპიონატი იყო, სკოლებს შორის, რომელიც ყოველწლიურად ტარდებოდა და მათში გამარჯვებული კი საქართველოს სასკოლო ჩემპიონატზე მიდიოდა თბილისში. თბილისში წასვლა და ამ ჩემპიონატზე თამაში ჩვენი მთავარი მიზანი გახდა. ამიტომ გაკვეთილების გარდა, გადავწყვიტეთ შაბათ და კვირასაც შევკრებილიყავით სავარჯიშოდ. ვარჯიშზეც და გაკვეთილზეც გელა მასწავლებელი არასდროს არ აგვიანებდა. ყოველ შაბათ-კვირას სტადიონზე გვხვდებოდა სიგარეტგაჩრილი, რადგან სკოლა არ იყო, შეეძლო ეზოში თამამად მოეწია. ჩვენთან არაფერს არ იმჩნევდა, და არც სხვანაირად გვექცეოდა, მაგრამ დასვენებებზე ზოგჯერ დერეფანში ნერვიულად მიმავალს ვხედავდი ხოლმე. ეს ყველაფერი დაიწყო უცნაური შფოთით მასწავლებლებში, ყოველ შესვენებაზე სამასწავლებლოში შეკრებები არ წყდებოდა და საუბრები. საქმე ის იყო, რომ იმ დროს სკოლაში მასწავლებლების ხელახალ გამოცდებზე დაიწყო საუბარი, ამიტომ ამ ყველაფერმა ყველა დააფეთა. განსაკუთრებით ასაკიანი, საპენსიო ასაკს მიტანებული მასწავლებლები, რომლებიც დირექტორს ცალკე დაუბარებია შეხვედრაზე და უთქვამს, რომ თუკი მასწავლებლების მათზე უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას ვინმე ვერ მოახერხებს, სავარაუდოდ მოუწევს სკოლის დატოვება, რადგან შეიძლება ისინი უფრო მაღალი საფეხურის მასწავლებლებმა ჩაანაცვლონ, ან შეიძლება ამის გამო მხოლოდ სამუშაო დრო შეუმცირდეთ, მაგრამ მათ გული არ უნდა დაწყდეთ, რადგან სახელმწიფო მათ ერთჯერად დახმარებას გამოუყოფს პენსიაზე გასვლის შემთხვევაში. ხანშიშესული მასწავლებლები ხვდებოდნენ, რომ სხვა არაფერი იყო ეს ყველაფერი, თუ არა მათი სკოლიდან გაშვებისთვის შემზადება. სულ თავიდან გამოცდების დაწესება ცალკე პრობლემა იყო მათთვის, ახლა კი სკოლა მათგან ითხოვდა ყოველ ჯერზე საკუთარი ხარისხი ერთი საფეხურით გაეუმჯობესებინათ გამოცდით. ეს

ყველაფერი დამთავრდა ჩვენი ქართულის მასწავლებლის სიტყვებით გაკვეთილზე.

- ჩვენ უკვე არავის არაფერში ვჭირდებით, – მთელი გაკვეთილის განმავლობაში ხმას არ იღებდა, ჩვენ კიდევ სხვა რაღა დაგვრჩენოდა, ვხმაურობდით და ერთმანეთში საუბრით ვირთობდით თავს, – არავის არაფერში არ ვჭირდებით, – დაამატა, წამოდგა და კლასიდან გავიდა.

რაც თქვა მაგისთვის დიდად ყურადღება არ მიგვიქცევია, რამაც გაგვაოცა ის იყო, რომ მასწავლებელი ტიროდა. მაშინ პირველად ვნახეთ ატირებული მასწავლებელი. მანამდე გვეგონა მარტო ბავშვები ტიროდნენ.

- გულჩვილი ქალია, მგრძნობიარე. ორმოცი წელია აქ ასწავლის. ასეც ხდება ხოლმე, ტირიან ადამიანები... კაი ახლა, წავიდა წრეზე ძუნძული, – ეს გვიპასუხა გელა მასწავლებელმა, როცა ქართულის გაკვეთილზე მომხდარზე ვუთხარით. მეტი არც გაუგრძელებია და არც აუხსნია.

მერე და მერე ყველაფერი თითქოს დამშვიდდა. ეს შეკრებები სამასწავლებლოში და მუდმივი საუბრები დერეფნებში მიწყნარდა.

დეკემბრის დასაწყისიდან უკვე თამაშები იყო ჩანიშნული. საახალწლო არდადეგების გამოცხადებამდე ცნობილი უნდა ყოფილიყო ვინ ითამაშებდა ჩვენი ქალაქიდან საქართველოს ჩემპიონატზე, რომელიც უკვე გაზაფხულის თვეში უნდა დაწყებულიყო. ამიტომ ნოემბრის თვემ უფრო აქტიური ვარჯიშებით ჩაიარა, ზოგჯერ ყოველ მეორე დღესაც გვიწევდა გაკვეთილების მერე დარჩენა და ვარჯიში. ამინდებიც უკვე ხელსაც გვიწყობდა. ციოდა, მაგრამ იშვიათად თუ წვიმდა. ამიტომ სტადიონი ჩვენი იყო. ამას ახლდა დედაჩემის და კიდევ სხვა რამდენიმე მშობლის შიგა და შიგ გაბრაზებები, რომ მთლიანად ფეხბურთზე გადავერთეთ და სხვა საგნებს დიდ ყურადღებას უკვე აღარ ვუთმობთ და

თურმე ფეხბურთმა სულ გააზარმაცა ბავშვები. ალბათ მართალიც იყვნენ. თბილისში ჩემპიონატზე თამაში ისეთი მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, ჩვენი გონება სულ ამით იყო მოცული. დილიდან საღამომდე, სტადიონზე თუ სტადიონის გარეთ. მახსოვს ჩემს ოთახში საწოლზეც ვვარჯიშობდი გადახტომებზე, მსუბუქი ვიყავი, მაგრამ ბოლოს ეს ჩემი ვარჯიში საწოლის ერთი ფეხის მომტვრევით დამთავრდა. ალბათ ძალიან მაღლა დამირტყა წარმოსახვითი ბურთი წარმოსახვითმა თავდამსხმელმა და მეც ძალიან მაღლიდან პირდაპირ საწოლს მთელი სისწრაფით დავეხეთქე. დიდად ბევრი არ მიფიქრია, მოტეხილი საწოლის ფეხი წამოვწიე და საწოლიც შევაყენე. მშობლებისთვის არც მითქვამს, მგონი ახლაც ეს საწოლი ისეა, ჩემი ნახტომის შედეგად მოტეხილი ფეხით, რომელსაც შორიდან, რომ შეხედო არაფერი არ ეტყობა.

მშობლების გაბრაზებამ მაინც თავისი შედეგი გამოიღო, მაგრამ ვარჯიშებისთვის თავი მაინც არ დაგვინებებია, უბრალოდ შრომა გაგვიორმაგდა. ახლა გაკვეთილების ბეჯითად მომზადებისთვისაც უნდა დაგვეთმო დრო და ვარჯიშისთვისაც. მთელი ეს ორომტრიალი და ჩემი გადაღლა იმით დამთავრდა, რომ პირველ თამაშამდე ერთი კვირით ადრე ხელთათმანები დავკარგე. ბებიაჩემის ნასესხები ფულით ნაყიდი ხელთათმანები. დანამდვილებით მჯეროდა, რომ თუ ამას ჩემები გაიგებდნენ, უკვე ბებიაჩემის მხარდაჭერასაც დავკარგავდი და შეიძლებოდა ამ ყველაფერს ჩემი საფეხბურთო კარიერაც შეეწირა, თანაც როგორი?! ამომავალი და მბრწყინავი ახალდაბადებული ვარსკვლავივით. ხელთათმანების ჩასანაცვლებლად რამდენიმე ვერსია არსებობდა. პირველი ეს იყო ყველა იმ ადგილის ყურადღებით დათვალიერება, სადაც ხშირად ვიყავი. მეორე ეს იყო ფულის შოვნა ახალი ხელთათმანების საყიდლად, რისი გაკეთებაც ყველაზე მეტად მეეჭვებოდა და ბოლო ვერსიად რჩებოდა მაღაზიიდან ხელთათმანების მოპარვა. პირველმა ვერსიამ სრულიად უიმედოდ ჩაიარა, ისე უიმედოდ, რომ ყველაფერი გავჩხრიკე, სადაც კი ტანსაცმელს ვდებდი – სახლში თუ სკოლაში, ყველგან, ჩვენი ქუჩის კანაოებიც შევამოწმე, ოღონდ ეს არ ვიცი

რა მიზეზით. მეორე ვერსია, როგორც დასაწყისშივე ვიცოდი საეჭვო იყო, ამიტომ მეორიდან მესამეზე გადავერთე.

გაკვეთილზე რომ ხელთათმანების გარეშე მივედი არავის შეუმჩნევია. რამდენიმე მოგერიებული ბურთის და მიწაზე დაცემის მერე ხელებსაც თავისი დაეტყოთ. მეორე ვარჯიშზეც რომ უხელთათმანოდ მივედი გელა მასწავლებელმა მკითხა.

- პერჩატკი რა უყავი?
- სახლში დამრჩა, მას!
- წინაზეც რო არ გქონდა?
- ჰო, წინაზეც დამრჩა.
- ხვალ არ დაგავიწყდეს, ხელზე დაინიშნე.

მე არ ვიცოდი როგორ დამენიშნა. გელა მასწავლებელი მოვიდა და ხელზე პასტით ჯვარი დამისვა.

- ასე უფრო გემახსოვრება.

ჩემი მესამე ვერსიის ასრულების დრო უკვე დამდგარი იყო და გადადება კი – შეუძლებელი. მეორე დღესაც უხელთათმანოდ მომიწია მისვლამ, დილით მაღაზია დაკეტილი იყო, ამიტომ ვარჯიშის მერე უნდა გამეკეთებინა გასაკეთებელი. გელა მასწავლებელს არაფერი უთქვამს. როგორც კი ვარჯიში მორჩა, ტანსაცმელი გამოვიცვალე თუ არა, ჩვენი სკოლის ქუჩაზე მდებარე იმ მაღაზიისკენ წავედი, სადაც ყველაფერი იყიდებოდა ხოლმე. საჭმლით დაწყებული, ფეხბურთის ბურთებით დამთავრებული. ჯერ გარეთ დავუდარაჯდი შესასვლელ კარს. გამყიდველი ასაკიანი ქალი იყო, ყოველთვის მაღაზიაში არ იჯდა ხოლმე, მაღაზია მისი სახლის ეზოში ჰქონდა გაკეთებული, ამიტომ თუკი კლიენტი არ მოდიოდა, სახლში შედიოდა. თუკი მაღაზიაში არ დაგხვდებოდა იქვე ზარის ღილაკისთვის უნდა დაგეჭირა და რამდენიმე წუთში გამოვიდოდა. ამიტომ როგორც კი ბოლო მომხმარებელი გაისტუმრა, რამდენიმე წუთი სკამზე დაჯდა, მერე მიხვდა, რომ ალბათ

არავინ მოვიდოდა და სახლში შევიდა. მე შესასვლელთან ახლოს შენობის მარჯვნივ ვიყავი ატუზული. როგორც კი შევიდა, დრო ვიხელთე და მაღაზიისკენ დავიძარი, შესასვლელთან უნდა გადამეხვია ისე მოპირდაპირე მხრიდან გელა მასწავლებელი დავინახე, ხელს მიქნევდა. ბედიც ამას ჰქვია! დაფეთებული მისკენ წავედი, ალბათ გამომიჭირა ქურდულად რო ვიყავი ატუზული და რამეს მიხვდა მეთქი, ვიფიქრე. ამიტომ პირდაპირ თავის გამართლებით შევეგებე. რა უნდა მეთქვა იმ წამსვე მოვიფიქრე.

- სნიკერსი მინდოდა მეყიდა, მას, მეტი არაფერი... იქითა მაღაზიაში არ იყო და...
- ჰო, სნიკერსი არ ვიცი მე, ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდე, საქმე მაქვს.

სხვა რა გზა მქონდა, წავყევი. ალბათ ასე ერთი კილომეტრი ვიარეთ ფეხით. არ ვიცოდი სად მივყავდი. ყველაფერზე ვფიქრობდი, მოპარვის მცდელობის გამო უნდა წავეყვანე პატრულში? მაგრამ არაფერი რომ არ მომიპარავს? მამაჩემთან მივყავარ სამსახურში დასატუქსად? მაგრამ არც ეს გზა მამაჩემის სამსახურის გზას არ ჰგავს. ეს გზაა ეკლესიისკენ მიდიოდა, აბა აღსარება უნდა ჩამაბარებინოს მამასთან? ვერაფერს ვხვდებოდი, სანამ ერთ სახლს არ მივადექით. გელა მასწავლებელმა ჭიშკარი შეაღო. შევიდა. მეც გავყევი. დიდი, ლამაზად მოწყობილი ეზოს ბოლოში აგურით ნაგები სახლი იდგა. ეს გელა მასწავლებლის სახლი იყო. სახლი ისეთივე იყო, როგორც თვითონ. პატარა და მოწესრიგებული. სახლში როგორც კი შევედით შუა ხნის ქალი გამოგვეგება.

- გელა, მოხვედი? გავალ მე ახლა მაშინ. ნაჭამია და დაბანილიც. წამოვაწვინე, ცოტა წნევა ჰქონდა.
- შენ დაბანე, გოგო?
- ჰო, კუჭი აშლია და პამპერსიც გამოვუცვალე, – სადღაც ჩურჩულით უპასუხა ქალმა.
- არ დაგივიწყებ ამ პატივისცემას, ხომ იცი?

ქალი იღიმის, გელას ხელს მხარზე მოადებს და სახლიდან გადის.

– ჩემი მეზობელია, მზია. აქ რო არ ვარ დედაჩემს შემოუვლის ხოლმე. შენ მანდ დაჯექი ტახტზე, დამელოდე, მე მოვალ ხელათ.

გელა მასწავლებელი საძინებელ ოთახში გადის, კარს როგორც კი აღებს, ვხედავ პატარა მოხუცი ქალი წევს საწოლზე, ეს ქალი დედამისია.

– ქუმორთიო, ნენა? ასე გუვონჯ თოლეფ დო მაშკურინ, ვა რძირი...

საძინებლიდან ქალის ხმა მესმის, მერე თითქოს გელა თავის თავს ელაპარაკება რაღაცებს მეგრულად, თავის თავს თუ დედამისს. და ამ მომენტში ვხვდები, რომ დედამისს სიტყვებით ეფერება, პატარა ბავშვივით, თითქოს თვითონ მამა იყოს, დედამისი კი – მისი შვილი. წამით ვხვდები, რომ სახლში მოსული გელა მასწავლებელი მწოლიარე დედამისთან მიხუტებული, სულ სხვა ადამიანს ჰგავს. შეიძლება ყოველთვის ასე იყო, მაგრამ მე მანამდე ვეღარ ვამჩნევდი, მშობლებთან ხომ სულ სხვანაირები ვხდებით ხოლმე. რამდენიმე წუთის მერე გელა მასწავლებელი ოთახიდან გამოდის, სამზარეულოსთან სადღაც უჯრებში იქექება, მერე თავის ოთახში შედის და იქიდან გამოდის თეთრი ხელთათმანებით ხელში.

ხელთათმანებს მაწვდის.

– ეს მე, მას?
– ჰო, შენ აბა, მე რაში დამჭირდება?!

გახარებული მორცხვად ხელთათმანებს ვართმევ, მერე მადლობის ნიშნად, რაღაცებს ვეუბნები, მერიდება და არ ვიცი როგორ გამოვხატო.

– მოიზომე ერთი, როგორ გაქვს.

მე ვიზომებ. დიდი მაქვს. მაგრამ მაინც თავს ვუქნევ კარგი მაქვს-მეთქი.

– მიდი, მიდი, აიღე და წადი ახლა შენს გზაზე. გზა ჰო იცი?
– კი, მას... ეს ხელთათმანები თქვენი იყო? – ვეკითხები მორცხვად.

- არა... ეგ მაჩუქეს.
- ვინ, მას?
- ვინ და... ვინ და ლევ იაშინიმ, – მიღიმის და თვალს მიკრავს.

იაშინის თუ არის, დიდიც მექნებოდა-მეთქი გავიფიქრე.

რა თქმა უნდა, ხელთათმანები იაშინის არ იყო, მაგრამ მე 11-12 წლის ბიჭი ვიყავი, ვინც ყველაფერს იჯერებდა ხოლმე, განსაკუთრებით უფროსებისგან ნათქვამს. მერე, დიდი ხნის მერე უბანში გავიგე, რომ ის ხელთათმანები სადღაც ოთხმოცდაათიანების ბოლოსკენ გელას ლანჩხუთის „გურიის“ მეკარისთვის მოუპარავს, იმ მიზეზით, რომ ლანჩხუთის „გურია“ ჩვენი ქალაქის გუნდთან დამარცხებულა ეროვნული ლიგის თამაშზე და სამახსოვროდ რამე თან უნდა წაეყოლებინა. მახსოვს ეს რომ გავიგე ბევრი ვიცინე, ალბათ ყველაზე გულახდილი მადლობა მაშინ ვთქვი, იმისთვის, რომ მთელი ბავშვობა დამაჯერა, რომ იაშინის ხელთათმანებით ვმეკარეობდი. თან ამ ხელთათმანებს ყოველთვის რაღაცის დამატება სჭირდებოდა. ბამბით ან სხვადასხვანაირი ქსოვილით ვტენიდი სათამაშოდ წასვლამდე, იმისთვის, რომ პატარა არ მქონოდა.

სანამ სახლის კარიდან გავდივარ მაჩერებს.

- აგერ შენ კანფენტი, სნიკერსი არ მქონდა, მე ბოდიში, – მეუბნება და მიცინის, მეც მეცინება. თავს ვუხრი მადლობის ნიშნად და სახლიდან გავდივარ.

* * *

დეკემბრის დასაწყისში უკვე პირველი თამაში იყო ჩანიშნული. სულ რვა გუნდი ვიყავით. ამიტომ ყველაფერი სამ თამაშში გაირკვეოდა. ჯერ მეოთხედფინალი, მერე ნახევარ ფინალი და საბოლოოდ გადამწყვეტი თამაში, აქ უკვე გაირკვეოდა ვინ შეძლებდა თბილისში ჩემპიონატზე წასვლას.

მთელმა კვირამ ისე ჩაიარა, რომ სხვა გაკვეთილებზე არ მივსულვართ. გელა მასწავლებლის თხოვნით ერთი კვირით საპატიო მიზეზით ვაცდენდით, ამიტომ გაცდენები სკოლის ჟურნალში არ გვეწერებოდა. ეს ორმაგი სიხარული იყო. ერთი კვირა მხოლოდ ფეხბურთის თამაში და სახლში მისულებისთვის, მარტო დასვენება და ცოტა ვარჯიში შემდეგი თამაშისთვის. თითქოს მთელი სკოლა უკვე ჩვენს ყურადღებაში იყო, სკოლის სახელით გამოვდიოდით და ჩვენი ტოლა ბავშვები უკვე ყველანი ჩვენზე ლაპარაკობდნენ. იყო ამაში რაღაც სუპერვარსკვლავური, მაგრამ ეს სუპერვარსკვლავობა მაინც რამდენიმე ათეული ადამიანის გარემოცვით შემოიფარგლებოდა. პირველი ორი თამაში შუა კვირას იმართებოდა, ამიტომ ჩვენს კლასელებს და მეგობრებს თამაშზე დასწრება დიდად არც შეეძლოთ, მხოლოდ ფინალზე, კვირა დღეს, ისიც უცნობი იყო ფინალში გავიდოდით თუ არა. მაგრამ იმდენად დარწმუნებული ვიყავით საკუთარ თავებში და ალბათ იმის დამსახურებითაც, რომ კარგად ვივარჯიშეთ, ფინალში გავედით.

პირველი თამაში იყო ჩვენი ქალაქის რომელიღაც სკოლის გუნდთან. ჩვენსავე სტადიონზე. ეს ყველაზე დიდი უპირატესობა აღმოჩნდა. ჩვენი სტადიონის უსწორმასწორო ზედაპირს ჩვენზე კარგად არავინ იცნობდა, ამიტომ თამაშიც თამამად დავიწყეთ. მახსოვს თამაშის დროს ზოგჯერ სკოლის ფანჯრებიდან ბავშვებიც გადმოყოფდნენ ხოლმე თავს საყურებლად. ერთი ორი შემოგვძახებდა ხოლმე, მერე მასწავლებელი შენიშვნას მისცემდა და ფანჯრიდან გამოყოფილი თავი ისევ უკანვე ბრუნდებოდა და ფანჯარაც იკეტებოდა. პირველ თამაშზე არცერთი გოლი არ გამიშვია. მოწინააღმდეგეებისგან დარტყმები არ წყდებოდა, მაგრამ ძლიერი მარტო ერთი-ორი თუ იქნებოდა. თამაში დამთავრდა, როგორც მახსოვს ასე 2-0 ჩვენს სასარგებლოდ. შეიძლება მესამე გოლიც შევაგდეთ ბოლოს, ზუსტად აღარ მახსოვს.

ნახევარფინალზე უკვე სტუმრად მოგვიწია თამაში მეოთხე სკოლის სტადიონზე. ეს თამაში უფრო პრობლემური გამოდგა, სტადიონის

უცნაური აგებულების გამო. მგონი, სტადიონიც არ იყო, ტრიალ მინდორზე, რომელიც მოსწორებულიც დიდად არ იყო, მოპირდაპირე მხარეს ორი კარი დაერჭოთ, კარი იყო თუ უბრალოდ აზიდვებისთვის გამზადებული რკინის კონსტრუქცია ისიც ვერ გავარკვიეთ, მაგრამ, ვინც გააკეთა იფიქრა, რომ კარისთვის გამოსადეგი იქნებოდა. რამდენიმე გოლი გავუშვი, მაგრამ უფრო მეტის მოგერიება მოვახერხე, თან მეოთხე სკოლის ბავშვები კარგადაც თამაშობდნენ, თამაშის დროს დიდმა დასვენებამაც მოგვისწრო და მათი მხარდამჭერების რაოდენობამაც იმატა. ბოლო წუთებისკენ პენალტი დამიდეს. ერთ ბურთიანი უპირატესობით ვიგებდით და გათანაბრება, რა თქმა უნდა, არ გვაწყობდა. მე ვიდექი აზიდვებისთვის ჩაფიქრებული რკინის კონსტრუქციის კარის წინ ხელებგაშლილი და დარტყმას ველოდებოდი. დიდი ხელთათმანები ჩემს ტანს უფრო პატარას და წვრილს აჩენდნენ. მსაჯის სასტვენმა ნიშანი გასცა, მეტოქეც გამოიქცა, მე მარცხენა კუთხისკენ გადავხტი ხელებ გაწვდილი და ვერც მივხვდი ისე ბურთი მოვიგერიე.

თამაში 2-3 მოვიგეთ. ეს ანგარიში ნამდვილად მახსოვს. თავისი ოვაციებით ჩემს კარში გაშვებულ ბურთზე და მერე მხოლოდ ჩემი გუნდელების ყვირილით აღებულ პენალტზე.

- ფინალი პირველ სკოლასთან! – როცა ვიცვლიდით ისე შემოგვიგდო ახალი ამბავი გელა მასწავლებელმა.
- ჩვენთან? – ვიღაცამ ჰკითხა.
- არა, მათ სტადიონზე! მოჰკიდეთ თქვენს კლასელებს ხელი და წამოიყვანეთ.

კლასელების თამაშზე წამოყვანა ჩემთვის პრობლემა არ იქნებოდა. პირიქით, მაგას რა ჯობდა თუ ჩემს კლასელ გოგოსაც ვნახავდი სადღაც მხარდამჭერებში. ამიტომ იმ პარასკევ დღეს კარგად დავისვენე. შაბათ დღეს რამდენიმე წუთით ერთად ვივარჯიშეთ. უფრო გელა მასწავლებლის დარიგებების სმენა მოგვიწია ვიდრე ვარჯიში. ცოტა

ცოტას ყველაფერზე ლაპარაკობდა. ჩვენს ძველ თამაშებზეც, რაღაც შეცდომებზე, და კიდევ იმაზე, რომ პირველ სკოლაში კარგი სტადიონია, ამიტომ სირბილი და გადახტომები არ დაგვენანოს. თან სიგარეტს ნერვიულად ქაჩავდა და ფეხით ბურთს იქით აქეთ ათამაშებდა.

– თავპირს მანდ არ დაიმტვრევთ! – გვითხრა ომახიანად.

საუბრის ამაზე იმედიანი დასრულება რა გინდა?!

იმ დღეს ნორმალურად არც მძინებია. სადღაც ათი საათისთვის საწოლში ვიყავი, მაგრამ ჯერ კარგად ვერც ვიძინებდი და მერე, როცა ჩამთვლიმა, შიგადაშიგ მეღვიძებოდა ხოლმე, თავს ვწევდი და მაშინვე საათს დავყურებდი, იმის შიშით უკვე გაღვიძების დრო ხომ არ იყო დამდგარი. მაგრამ ამ უძილობას მეორე დღეს ჩემს ენერგიულობაზე არც უმოქმედია. დილის ცხრა საათზე უკვე პირველი სკოლის გზაზე ვიყავი.

სკოლასთან უკვე ყველანი შეკრებილიყვნენ. გელა მასწავლებელიც იქ იყო. ცალკე გასახდელში გავედით, ფორმები ჩავიცვით და სტადიონისკენ წავედით. სტადიონი იყო ხასხასა მწვანე ბალახით გაფენილი. მახსოვს იმ დროს ხელოვნური საფარის სტადიონებს აკეთებდნენ, რამდენიმე ქალაქში, მაგრამ ეს ბუნებრივ საფარზე იყო, სტადიონს მზე დაჰყურებდა და ეს მზის სხივებიც უფრო ხასხასა მწვანედ აჩენდნენ სტადიონს. თეთრი საღებავით იყო მოხაზული სტადიონის ცენტრი და მეკარის საჯარიმო. ხასხასა მწვანის და თეთრის შეხამება, ესაა სტადიონის მთელი მაგია, რაც ახლაც როგორც კი ვნახავ ბურთის გაგორებას და სირბილს მანდომებს. თან მაშინ ეს ყველაფერი ბავშვებისთვის, რომლებმაც პირველად ვნახეთ ასეთი სილამაზე, საოცარი იყო. გაოცებულები ხან ერთმანეთს გავხედავდით ხან მინდორს ვუყურებდით. თან ფეხი დავდგით თუ არა ნამდვილ ფეხბურთელებად ვიგრძენით თავი. სტადიონი იყო გაშლილი ეზოს შემოსასვლელიდან ბოლომდე. ამიტომ თავი სირბილით ჩვენს გუნდელებს ბოლომდე უნდა დაეხარჯათ.

იქაურობა ნელ-ნელა მხარდამჭერებით ივსებოდა. მახსოვს, კარგად ვაკვირდებოდი, მაგრამ ჩემი კლასელი გოგოს სახე არ შემინიშნავს. ალბათ აქედან დაიწყო ჩემი დაღმასვლა და იმით გაგრძელდა, კარში ორი ბურთი, რომ გავუშვი. პირველი ტაიმიც ასე დამთავრდა, მეტოქის ორბურთიანი უპირატესობით.

– ის ბიჭი, მარცხნივ რო დგას შემტევად, მაგას თქვენ არცერთი ყურადღებას არ აქცევთ. დგას, აყუდებულია, მიიღებს და გააქვს გოლი. გამიგეთ? ისე გიძვრებათ, ვერც ამჩნევთ. – გელა მასწავლებელი აღელვებული გველაპარაკება. ჩვენც თავდახრილი ვუსმენთ, – თქვენ ორნი კიდევ ერთმანეთს ვერ ხედავთ, – ხელს იშვერს ჩვენი თავდამსხმელისკენ და ნახევარმცველისკენ, – დაიჭერთ ბურთს თუ არა ეგრევე კარისკენ გასატანად მიგაქვთ... ეგრე სადაა? ფუტბოლი – პასია, გოლი მერე იქნება.

საუბარს დაცვასთან საუბრით ამთავრებს. რამდენიმე შესწორებას ეუბნება გამოცდილი მწვრთნელივით. მერე სტადიონზე, რომ უნდა გავიდეთ ისე, მე შემომძახებს.

– რა გჭირს? რას ფიქრობ ამ თამაშის დროს? უყურე სტადიონს!

მე თავს ვუქნევ და ვხვდები, რომ ის გოგო მომსვლელი აღარაა, თამაშზე უნდა ვიფიქრო. მაგრამ არც ეს შველის ჩვენს საქმეს. მეორე ტაიმში რამდენიმეჯერ ვუტევთ, მაგრამ უშედეგოდ. შიგადაშიგ გელა მასწავლებლის შეძახილები გვესმის, ხან ჩვენ გვეძახის, ხან მსაჯს უბრაზდება რაღაცაზე, ხან მოწინააღმდეგის მწვრთნელს. იქიდან მსაჯი ანიშნებს, რომ დამშვიდდეს, თორემ სტადიონის დატოვება მოუწევს. ამაზე გელა უფრო ბრაზდება და ერთს შეაგინებს იმას, ვინც მას სტადიონიდან არ გააგდებს. დაგინება უფროა ვიდრე შეგინება. მაგრამ მსაჯი არ აპატიებს. რამდენიმე წუთში გელას მასწავლებლის შეძახილები სტადიონის გარედან გვესმის. ისინი კი შეტევას შეტევაზე აკეთებენ.

რამდენიმე დარტყმის მოგერიებას ვახერხებ, მაგრამ ბოლოს მესამე გოლსაც ვუშვებ.

3-0. თამაშის ბოლოს მოედანზე ვგდივართ თავჩახრილები. მე ბრაზისგან არ ვიცი რა ვქნა ან ვისზე გავბრაზდე და ჩემთვის ცრემლის გორგლებს ვყლაპავ. გელა მასწავლებელი მოდის. მგონია, რომ გაბრაზებულმა უნდა გვეჩხუბოს.

– ადექით ახლა, ჩამოართვით იმ ბიჭებს ხელი...

ჩვენ ძლივს ვდგებით მინდვრიდან, მოწინააღმდეგესთან ნაძალადევად მისულები, ვისაც ვნახავთ, ყველას ხელს ვართმევთ – მოთამაშეებიდან დაწყებული, მწვრთნელით დამთავრებული. მერე გელა მასწავლებელი გასახდელისკენ გაგვიძღვება.

– რას ჩამოგტირით, ბიჭო, სახეები? არ გითამაშიათ ცუდად მეორე ტაიმი... – სადღაც ჯიბიდან ისევ სიგარეტს აძრობს, – ამ სტადიონის ბრალი იყო ეს, – მე ვფიქრობ, რომ უნდა დაგვამშვიდოს და ამისთვის რა მიზეზი მოიფიქროს ვერ ხვდება. მერე აგრძელებს. – ისეთია, სულ მწვანე, პირდაპირ თვალში გეცემა. გამიგე? პირველად რო ვნახე თქვენზე უფროსი კი ვიყავი, თან ეგ უფრო დიდი სტადიონი იყო, უფრო დიდი გუნდებით. კარროჩეე, ამ მწვანე მინდორმა დაგაბნიათ... იცის ხოლმე, ეგ არაფერი.

წაგებულები გამოვედით სტადიონიდან, წაგებულებმა გამოვიცვალეთ და როგორც კი დავშორდით ერთმანეთს ცალ ცალკე სახლისკენ გზას გავუყევით თავჩახრილები და წაგებულები.

* * *

ამ თამაშის მერე ვარჯიშებიც შეწყდა. საშობაო არდადეგები უკვე კარს იყო მომდგარი. ამინდებიც მალევე გაფუჭდა. ისე, რომ გარეთ

სტადიონზე თამაში ფიზკულტურის გაკვეთილზე შეუძლებელიც იყო. ხან ყინავდა, ხან წვიმდა. სკოლის ბოლო კვირას მოთოვა კიდეც. ამიტომ ფიზკულტურის გაკვეთილები არ გვიტარდებოდა. მახსოვს იმ კვირას, სანამ არდადეგები დაგვეწყებოდა, კლასში გელა მასწავლებელი შემოვიდა. მოგვიკითხა, როგორ ვიყავით, დაგვისვა და სკოლის ამბები გამოგვკითხა, ეტყობოდა, რომ მონატრებული ვყავდით. ჩვენ ვუთხარით, რომ ისიც მაგრად მოგვენატრა და მისი გაკვეთილებიც.

- რა მოგენატრა, ბიჭო, ორი კვირაა მარტო, მერე კიდო რამდენი წინაა, მასე მორჩება გგონიათ თქვენი ფუტბალისტობა?

რამდენჯერმე თავზე ხელი მოგვითათუნა, ქოჩორა თმები აგვირია,მგონი, მოფერებას ასე ცდილობდა, სითბოს გამოხატვის ერიდებოდა. მერე კლასიდან იმ დათქმით წავიდა, რომ არდადეგების მერე ვარჯიშები განახლდებოდა და გოგოებიც და ბიჭებიც ახალი ჩემპიონატისთვის უკვე კარგად მოვემზადებოდით.

- მერიაში შევიტანე განცხადება! მომავალი წლიდან ახალი სტადიონი უნდა გვქონდეს. თუ არადა გადავდგათ იქაურობა, არა?

იცინის და კლასიდან გადის. ჩვენ გვიხარია, რომ მომავალი წლიდან შეიძლება მწვანე მინდორზე ვითამაშოთ.

ზამთრის არდადეგებმა ცივი ამინდებით ჩაიარა. იშვიათად თუ ჩვენს ქალაქში ძლიერად მოეთოვოს, მაგრამ იმ წელს მახსოვს, რომ დიდი თოვლი მოვიდა. მთელი ქალაქი თეთრად გადაფარა. ეს რაღაც ახალი თეთრი ფერი იყო, ისეთი როგორიც არასდროს მქონდა ნანახი, არა ქალაქის მტვერში გარეული, არამედ რაღაც ძალიან ახალი თეთრი, რომელსაც ქუჩების ტალახიც ვერაფერს აკლებდა. ბავშვებს ალბათ ამაზე მეტად არაფერი არ გაგვახარებდა, ამიტომ მთელს დღეს გარეთ ვატარებდით, ქუჩებში და ერთმანეთის ეზოებში. გუნდაობის და სირბილის მერე, სახლებში სახე აწითლებულები ვბრუნდებოდით.

სადღაც ახალი წლის მერე გელა მასწავლებლის დედა გარდაიცვალა. უკვე სადღაც ოთხმოცდაათ წელს მიტანებული ქალი, რომელიც ერთადერთი იყო, ვინც გელას დარჩენოდა. მახსოვს მამაჩემთან და დედაჩემთან ერთად მივედი. ირგვლივ ხალხი ირეოდა. მეზობლები, ნათესავები. ბავშვები შიგნით არც შევუყვანივართ. გელა მასწავლებელიც ჯერ შორიდან ვნახეთ. მერე რომ გამოვიდა და ყველანი გვნახა, მოვიდა და ყველას ერთად ჩაგვეხუტა, არაფერი მორიდებია, მახსოვს როცა გვიხუტებდა თავზე მისი წვერგაუპარსავი ნიკაპი მეხებოდა, თმებს კიდევ მისი ცრემლებით მისველდებოდა. ტიროდა გაუჩერებლად.

გასვენების პროცესიამ მთელს ქუჩაზე ჩაიარა. მერე მოპირდაპირე გორას აუყვა სასაფლაოსკენ. თოვა არც მაშინ არ შეწყვეტილა. მახსოვს სიჩუმე იყო, ქალები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ. როგორც კარგა ხნის მოხუცებულის გარდაცვალებისას იციან ხოლმე, არავინ მოთქმით არ ტიროდა. მხოლოდ ახალი თოვლის ჭრაჭუნის ხმა ისმოდა, რომელსაც ხალხის ნაბიჯები გამოსცემდნენ.

* * *

არდადეგების მერე სკოლაში გელა მასწავლებელი არ გვინახავს. როგორც გავიგეთ დირექტორს უკვე არდადეგებამდე ჰყავდა რამდენიმე ახალგაზრდა მასწავლებელი შერჩეული, უფრო მაღალი ხარისხით, სკოლაში მოსაყვანად. რამდენიმე ასაკიან მასწავლებელი დარჩა, მაგრამ სამუშაო დრო შეუმცირდა, რამდენიმეს პენისიაზე გასვლა მოუწია, მათ შორის, როგორც ჩანს გელა მასწავლებელსაც. დირექტორი ამბობდა, რომ ეს ყველაფერი საჭირო იყო ახალგაზრდა, უფრო ნათელი პედაგოგების მოსაყვანად. ახალ თაობას ახალი კადრები სჭირდება აღსაზრდელადო, ამბობდა.

ყველაზე უცნაური ის იყო, რომ გელა მასწავლებელი არა მხოლოდ სკოლიდან, მალევე ქალაქიდანაც გაქრა. ეს რამდენიმე დღის შემდეგ

გახდა ცნობილი. კარის მეზობლებმა, რადგანაც სახლში ვერ იპოვეს, იფიქრეს, რომ სხვაგან იყო გასული, ან დროებით სხვა ნათესავებს ესტუმრა, მაგრამ მას შემდეგ, რაც უკვე ერთი კვირა გავიდა და სახლი კი კვლავ ცარიელი დახვდათ გადაწყვიტეს, რომ პოლიციისთვის შეეტყობინებინათ. მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში, პოლიციამაც ვერ იპოვა, ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალი. როცა უკვე ბავშვებმაც გავიგეთ ამის შესახებ დედაჩემს ვკითხე, თუ სად უნდა წასულიყო გელა მასწავლებელი, ან რატომ წავიდა. დედაჩემმა მითხრა, რომ ზოგჯერ ასეც ხდება, ადამიანები მიდიან და იკარგებიან, ალბათ იმიტომ, რომ არავინ დარჩათ ისეთი, ვისზეც იზრუნებენ.

* * *

წლების შემდეგ, როცა მე უკვე თბილისში გადავედი სასწავლებლად და ჩემს ქალაქში დაბრუნებას კიდევ სამსახურის გამო წელიწადში ერთხელ მაინც თუ მოვახერხებდი, დედაჩემს ვურეკავდი ხოლმე და ყველაფერს ვეკითხებოდი ჩვენს სახლზე, სამეზობლოზე, ქალაქზე. ერთხელაც გაბრაზებულმა მითხრა, რომ უკვე საშობაოდ და სააღდგომოდაც აღარ ვაკითხავ და ოჯახიდან თურმე ფეხი მოვიკვეთე, მე სხვა რამეზე გავუგრძელე ლაპარაკი, ქალაქზე მითხარი, სკოლაში რა ხდება, ახალი სტადიონი თუ გააკეთეს-მეთქი. არ გაუკეთებიათ, მაგრამ ბეტონიდან ბალახი მაინც თავისით ამოდისო, ასე მითხრა.

მახსოვს, მაშინ მარტის თვე იდგა, ზამთრის სუსხისგან იცლებოდა ამინდი და მგონი, აღდგომაც აპრილში უწევდა.